ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება!“

რომან გოცირიძე: „ოცნება“ მუხთარლის საქმეზე პასუხს აგებს“



გვ.5

13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

კონსერვის რიგი




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სამშაბათი, 13 თებერვალი, 2018

№36 (7581)

ფასი: 50 თეთრი

# ბელა ნიკოლაიშვილი: „დოდო გუგეშაშვილი საწოლი ოთახიდან სიგარეტით გამოვიდა და ამ დროს პისტოლეტიანი მკვლელი შეეჩეხა“



გვ.2

## მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში გააძევეს



გვ.2



## ლევან ხაბეიშვილი გიორგი კვირიკაშვილს უჩივის



გვ.4

## ნიკა მელია: „თუ საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს, ხელისუფლება ჩამოიშლება“



გვ.3

## გიგა ბუკია: „ოპოზიცია ერთიან პრეზიდენტობის კანდიდატს ვერ წამოაყენებს“



გვ.3

### სამართალი

გვ.7



ბებიის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



ბათუმში საცხოვრებელ სახლში გაზქურა აფეთქდა



საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ დიდი ოდენობით ოქროს საიუველირო ნაკეთობები აღმოაჩინეს

### ეკონომიკა

გვ.6

„შავ სალაროზე“ დამოკიდებული პაციენტის ბედი და დარღვევები სასწრაფო დახმარების ცენტრში



დავით სერგეენკო: „პაციენტებისათვის მეტი წამლის გამოწერა პრობლემაა“



ლიმონათი „ხილიანის“ საწარმო აუქციონზე ნახევარფასად იყიდება



ISSN 1987-9385

5 ალავერდის მიტროპოლიტი ტუალეტის ქაღალდის შესაძენად მერიისგან თვეში 2.000 ლარს ითხოვს

4 „იერარქიის დანგრევით ინგრევა წესრიგი, ამას კი, განუსაზღვრელი ბოროტება მოჰყვება“

5 „ტენდერში რუსული კომპანიის მონაწილეობა პრობლემა არ არის“

4 კრწანისის გამგეობას შენობიდან ასახლებენ — გამგეობა კერძო სახლში გადადის?

# გელა ნიკოლაიშვილი: „დოდო გუგეშაშვილი საწოლი ოთახიდან სიგარეტით გამოვიდა და ამ დროს პისტოლეტიანი მკვლელი შეეჩეხა“



– დოდო გუგეშაშვილს და მის შვილს დაქირავებულმა მკვლელმა ესროლა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, დაქირავებულ მკვლელს დოდო გუგეშაშვილი იცნობდა, რადგან ეს პიროვნება მასთან კონტაქტის დამყარებას რამდენჯერმე ცდილობდა. ამდენად, სახლში მისვლისას დოდო გუგეშაშვილმა მას კარი გაუღო.

– როგორც აღმოჩნდა, ეს იყო დაქირავებული მკვლელი. როგორც იცით, ხანგრძლივი დაკითხვა იყო. თითქმის 5 საათი გრძელდებოდა. ამ დაკითხვიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დაქირავებული მკვლელი, რადგან მოტივი მისთვისაც უცნობია. დაქირავებული ქილერი მას მიუგზავნეს. ასე აღმოჩნდა, ვინაიდან მას რამდენჯერმე შეხვდა სრულიად სხვა მოტივით. კერძოდ, საერთო საქმე სჭირდებოდა. საერთო ნაცნობი დაუსახელა. შეხვდა რამდენჯერმე კონტაქტის დამყარების მიზნით და როგორც აღმოჩნდა, ეს იყო დაქირავებული მკვლელი, რადგან ყოველგვარი შეკამათებისა და გაუგებრობის გარეშე ამოიღო იარაღი და სამზარეულოში მას ესროლა, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, დოდო გუგეშაშვილმა დაქირავებული მკვლელის სახელი და გვარი დანამდვილებით არ იცის, თუმცა მისი ამოცნობა შეუძლია.

– დოდო გუგეშაშვილმა ზუსტად არ იცის თავდამსხმელის გვარი და სახელი. თუმცა სახელით იცნობს და ზუსტად არ იცის, ეს სახელი ნამდვილია თუ არა. რამდენჯერმე შეხვედრია, სახით იცნობს, სწორედ ამ დონეზე დაასახელა ეს ადამიანი გუგეშაშვილმა და მას ამოცნობა შეუძლია, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისი განმარტებით, დაკითხვა თითქმის 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და ამ დაკითხვიდან გამომდინარე შეუძლია თქვას, რომ ეს ადამიანი იყო დაქირავებული ქილერი, რადგან მომხდარის მოტივი დოდო გუგეშაშვილისთვის უცნობია.

მისი თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ ნოდარ გუგეშაშვილს 5 ტყვია აქვს თავში მოხვედრილი, არის ტყუილი. – ნოდარ გუგეშაშვილს ერთი ტყვია აქვს. გამავალი ჭრილობა აღენიშნება გულმკერდის არეში, – განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

დაკითხვაზე დოდო გუგეშაშვილმა აღწერა, რაც მოხდა.

– როდესაც ის მკვლელი მივიდა სახლში, ჩვეულებრივად შევიდა, ასევე ჩვეულებრივი საუბარი ჰქონდა, დოდოს შვილს ეძინა, ეს იყო დილის დაახლოებით 10.00 საათი. ამ საუბრის შემდეგ დოდო გადის სამზარეულოს გავლით, საწოლ ოთახში, საწოლი ოთახიდან იღებს სიგარეტს, უკან გამოდის და ამ დროს მას ხვდება შემართული პისტოლეტით ეს ადამიანი, რომელსაც გაკვირვებული დოდო ეუბნება, რას შვრები, შე გარეწარო. ამ დროს ის ისვრის და დოდომ სკამის სროლა მოასწრო. როგორც ჩანს, ის გადაარჩინა იმან, რომ როგორც გამომძიებლები ამბობენ, სამი ე.წ. ასეჩკა მისცა. ამას ტყვიების ანალიზით ადგენენ. ამ დროს კი დოდო ყვირის – ნოდარიკო გაიქეცი, სახლში მკვლელია. მას ჰგონია, რომ ნოდარი გარეთ არის გაქცეული და ეს დაჭრილი გამორბის გარეთ, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

ამასთან, კითხვაზე, რა ვითარებაში გაიცნო დოდო გუგეშაშვილმა დაქირავებული ქილერი, ადვოკატი განმარტავს, რომ დოდო გუგეშაშვილმა არ იცოდა, რომ თავდამსხმელი ქილერი იყო.

– მე რომ თქვენ გიცნობდეთ და ამ დროს ქილერი აღმოვჩნდე, ამ ვითარებაშია გაცნობილი, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში გააძევეს

შორენა მარსაგიშვილი






საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში გააძევეს. უკრაინულმა სპეცრაზმმა ჩვენებური გუშინ, 12 თებერვალს რესტორან „სულუგუნში“ დააკავეს. სადაც ის სადილობას აპირებდა.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორისთვის სადილის ჩაშხამებას 9 თებერვალსაც შეეცადნენ. მაშინ სააკაშვილი კიევის ერთ-ერთ ელიტურ სასტუმროში ჩაის სვამდა. ჩვენებური იმ დღეს სასტუმროს დაცვამ იხსნა. მათ სპეცრაზმი შენობაში არ შეუშვეს. ცოტა ხანში იქ სააკაშვილის მომხრეებიც მივიდნენ და სპეცრაზმი იძულებული გახდა, ტერიტორია დაეტოვებინა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, მის დაკავებას უკრაინის სასაზღვრო უწყება აპირებდა. ამბობდა, რომ იგეგმებოდა უკრაინიდან მისი გაძევება.

უკრაინის ხელისუფლებამ სასურველ მიზანს გუშინ, 12 თებერვალს მიაღწია. რესტორან „სულუგუნის“ დაცვა მარჯვე არ აღმოჩნდა და სპეცრაზმმა იოლად შეაღწია შენობაში.

როგორც გამოცემა „უკრაინსკაია პრავდას“ რესტორნის ადმინისტრაციაში განუცხადეს, მათ დაწესებულებაში რამდენიმე ნიღბიანი პირი შეიჭრა, მიხეილ სააკაშვილი დააკავეს და რესტორნის ტერიტორია დატოვეს.

– სააკაშვილი და კიდევ ხუთი პირი ერთად სადილობდნენ რესტორნის მეორე სართულზე, როდესაც ნიღბიანი პირები შემოიჭრნენ ავტომატებით. ის უცებ დააკავეს, – განაცხადა რესტორნის ადმინისტრატორმა.

როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილმა გაქცევა და სამზარეულოში დამალვა სცადა, მაგრამ ნიღბიანებმა მას ამის საშუალება არ მისცეს.

აღსანიშნავია, რომ ეს ექსგუბერნატორის მესამე დაკავებაა. პირველად ის გასული წლის 5 დეკემბერს დააკავეს. მას სპეცრაზმმა სახლში მიაკითხა. სააკაშვილმა რომ გაიგო, რა მიზანი ჰქონდათ მის სტუმრებს, გაიქცა და სახურავს შეაფარა თავი. სანამ სპეცრაზმი მასთან ჭიდაობდა, შენობასთან სააკაშვილის მომხრეები შეიკრიბნენ. მათ ალყაში მოაქციეს ის მანქანა, სადაც ძალოვნებმა ჩვენებური ჩასვეს.

მისმა მხარდამჭერებმა ჯერ მანქანის საბურავები დაჭრეს, ხოლო შემდეგ ლიდერი გადმოიყვანეს მანქანიდან.

სააკაშვილი რადას წინ გაშლილ კარვებში გამაგრდა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთი მეგობრის ბინაში გადავიდა. ამ ბინის მისამართი ძალოვნებმა გაიგეს და სააკაშვილი მეორედ 8 დეკემბერს დააკავეს.

დაკავებული უშიშროების იზოლატორში მოათავსეს. იქ მას დიდი ხანი არ გაუტარებია. ოდესის ყოფილი გუბერნატორი სასამართლომ გაათავისუფლა.

მიმდინარე წლის 26 იანვარს პროკურატურის მოთხოვნით მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს. შინაპატიმრობისგან ის წინა კვირას გაათავისუფლეს.

სააკაშვილი 18 თებერვალს გრანდიოზული მიტინგისთვის ემზადებოდა და გამუდმებით მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობდა. ამბობდა, რომ იგეგმებოდა ქვეყნიდან მისი გაძევება.

ჩვენებურს, ეტყობა, უკრაინის სპეცსამსახურებიდან სერიოზული ხალხი აწვდის ინფორმაციას. სააკაშვილი ამბობდა, რომ საქართველოში მისი ექსტრადირება არ მოხდებოდა. მისი ინფორმაციით, უკრაინის ხელისუფლება ევროპაში უპირებდა გაძევებას.

მართალია, საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ისინი სააკაშვილის ექსტრადირებას ითხოვენ, მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. „ქართულ ოცნებას“ რომ მესამე პრეზიდენტის გადმოცემაზე პრეტენზიები არა აქვს, ეს 12 თებერვალსაც გამოჩნდა. ოდესის ოლქის გუბერნატორი საქართველოს ნაცვლად პოლონეთში გაამგზავრეს.

დაკავებამდე სააკაშვილმა არაერთხელ თქვა, რომ საქართველოში მისი ექსტრადირების შემთხვევაში, იქ ხელისუფლება ძალიან მალე შეიცვლება.

სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ თბილისმა კიევს ოფიციალურად სთხოვა, რომ სააკაშვილი აქ არ დააბრუნონ.

– კიევში მაქვს სერიოზული კავშირები, ვიცნობ სერიოზულ ხალხს. მათგან ვიცი, რას ითხოვს საქართველოს ხელისუფლება. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ სააკაშვილი აქ არ მოხვდეს. უკრაინას სთხოვეს, დაკავების შემთხვევაში სადმე სხვაგან გაუშვან, – განაცხადა რამდენიმე დღის წინ ტრისტან წითელაშვილმა.

ეს სხვა ქვეყანა პოლონეთი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ უკრაინის მოქალაქეობადაკარგული სააკაშვილი სწორედ პოლონეთიდან შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე.

„სულუგუნში“ დაკავებული სააკაშვილი ძალოვნებმა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მისმა მომხრეებმა კიევში მდებარე ორივე აეროპორტს მიაკითხეს. ჩვენებური ბორისპოლის აეროპორტში იპოვეს, თუმცა მისი შველა ვერ შეძლეს.

ოდესის ყოფილი გუბერნატორი უკრაინის ხელისუფლებამ ჩარტერული რეისით პოლონეთში გააფრინა.

ამას ხელი ვერც ბორისპოლის აეროპორტში მომხდარმა ინციდენტმა შეუშალა. ამასთან დაკავშირებით, უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ოფიციალური წარმომადგენელი ოლეგ სლობოდიანი განცხადებას ავრცელებს.

– 12 თებერვალს სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლებმა საიმიგრაციო სამსახურისა და ეროვნული პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად სააკაშვილს აცნობეს კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება მის დაბრუნებაზე იმ ქვეყანაში, სადაც აქამდე იმყოფებოდა. თუმცა, აღნიშნული პროცედურის აღსრულებისას მიხეილ სააკაშვილის გარემოცვიდან უცნობი პირები თავს დაესხნენ სამართალდამცველებს. მესაზღვრეები იძულებულნი გახდნენ, თავი დაეცვათ და ძალისმიერი მხარდაჭერა გამოიყენეს, – განაცხადა უკრაინის სასაზღვრო სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

უკრაინის მიერ გაძევებულ სააკაშვილს პოლონეთმა ფართოდ გაუღო კარი. ამასთან დაკავშირებით განცხადება პოლონეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა.

– პოლონეთის სასაზღვრო სამსახურმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საკუთარ ტერიტორიაზე მიიღო. გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო უკრაინის საიმიგრაციო სამსახურის მიერ წარმოდგენილი განცხადება რეადმისიის შესახებ. უკრაინული მხარის განცხადების განხილვისას თავისი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეა, – ნათქვამია პოლონეთის სასაზღვრო სამსახურის განცხადებაში.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის ადვოკატმა რუსლან ჩერნოლუცკიმ კი, პოლიტიკოსის გატაცების საქმეზე უკრაინის პოლიციაში განცხადება შეიტანა.

– მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა რუსლან ჩერნოლუცკიმ შეიტანა განცხადება პოლიტიკოსის გატაცებასთან დაკავშირებით. განცხადება შეტანილია ტელეფონის მეშვეობით შსს-ს პეჩორსკის რაიონულ განყოფილებაში. პოლიციამ ახსნა-განმარტება ჩამოართვა რესტორნის თანამშრომლებს, ასევე მათ, ვინც გატაცების მომენტში მიხეილ სააკაშვილთან ერთად იმყოფებოდა, – განაცხადეს სააკაშვილის პარტიაში.

პოლონეთში გაძევებული სააკაშვილი, ეტყობა, თავს კომფორტულად გრძნობს. მან მხარდამჭერებს ტელეფონით მიმართა და მათ მშვიდი პროტესტისკენ მოუწოდა.

– ჩემი აზრით, ჩვენ ამაზე მშვიდი რეაქცია უნდა გვქონდეს. მათ სისუსტეს ჩვენ სულის სიმტკიცით უნდა ვუპასუხოთ. ისინი ტყუიან. ეს არის პატარა, შეშინებული, იაფფასიანი მატყუარა პოროშენკო. ის პრეზიდენტი არაა. ის ადამიანიც კი არაა. ის არის უბრალოდ საძაგელი ბარიგა, რომელსაც უკრაინის დაშლა სურს. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. დღევანდელი ქმედებები მათ მარცხამდე მიიყვანს, – განაცხადა გაძევებულმა.

ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო უწყებამ კიევში საპროტესტო ნოტა უნდა გააგზავნოს. ანალიტიკოსი ამბობს, რომ კიევმა სააკაშვილის პოლონეთში გაძევებით საქართველო დააიგნორა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაკავებას, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკიც ეხმაურება.

ვოლსკი ამბობს, რომ არსებული მწირი ინფორმაციის გათვალისწინებით ფაქტის შეფასება რთულია, თუმცა, მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში არაერთ დანაშაულს ედავებიან. მათ შორის საზღვრის გადაკვეთას და რუსეთში მცხოვრები უკრაინელ ოლიგარქთან კავშირს.

„ვერც მე და ვერც მმართველი გუნდის ვერც ერთი წარმომადგენელი უკრაინის მართლმსაჯულების განხორციელების დეტალებზე ვერ ილაპარაკებს. მე რამდენადაც მახსოვს, მათ პრეტენზია ჰქონდათ, რომ მას კავშირი ჰქონდა რუსეთში მყოფ უკრაინელ ოლიგარქთან, რაც თვითონაც არ უარყვია როგორც მახსოვს, იქ საზღვრის გადაკვეთა და სხვა მაპროვოცირებელი ქმედებები, რაზეც, როგორც მახსოვს, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის და დიდი ბრიტანეთის ელჩებმაც ისაუბრეს. აფასებდნენ რა მის საქციელს უკრაინაში. აქედან გამომდინარე, ერთადერთ ლოგიკურ პასუხად მიმაჩნია, რომ დაველოდოთ, რა ბრალდებებს წაუყენებენ, რა პოზიცია აქვს ადვოკატს და უფრო მეტი სიღრმისეული ანალიზის საფუძველი გვექნება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა მელია: „თუ საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს, ხელისუფლება ჩამოიშლება“

ნათია ხურცილავა

## „დღეს ოპოზიციის ერთობას ალტერნატივა არა აქვს“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **ნიკა მელია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა, მთავარი ოპოზიციური ძალა, მზად არის საერთო ოპოზიციური კანდიდატის გამოსავლენად და მხარდასაჭერად.

***— ბატონო ნიკა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და საპრეზიდენტო კანდიდატი პრაიმერის გზით უნდა გამოავლინოს. რამდენად რეალურია, რომ ოპოზიციას საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავდეს?***

— არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ ოპოზიციური პარტიების გაერთიანებას ალტერნატივა არა აქვს. გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატი უფრო ეფექტური იქნება ბრძოლის თვალსაზრისით მილიარდერი ოლიგარქის წინააღმდეგ, ვიდრე თითო-თითო პარტია რომ გამოვიდეს და ყველას თავისი კანდიდატი ჰყავდეს. ერთ მხარეს, ივანიშვილის მხარეს არის დიდი ფინანსური და ადმინისტრაციული, საორგანიზაციო რესურსი და მეორე მხარეს, ამის საპირწონედ აუცილებლად უნდა გაჩნდეს ერთობა, გაერთიანებული ოპოზიციის სახით, რომელიც დაუპირისპირდება პოლიტიკურ ორთაბრძოლაში ოლიგარქის ხელისუფლებას. ჩვენ, ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტია, მზად ვართ ამ ერთობისთვის. ყველამ უნდა გადავდოთ, ნაწილობრივი დავთმოთ კიდეც ჩვენი ამბიციები, ჩვენი ეგო და ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნის უკეთესი მომავლის რაც შეიძლება მალე დადგომას. ყველა მიმართულებით წარმოუდგენელი უკუსვლა არის. არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ხელისუფლებას წინ, წარმატებისკენ. უკან, კი ბატონო, რამდენიც გენებოთ. წარმოგიდგენიათ, ხელისუფლებამ 6 წლის განმავლობაში პენსიის გაზრდაც კი ვერ შეძლო, არათუ სისტემურ რეფორმებზე გვესაუბროს და შემდეგ ეს რეფორმები განახორციელოს. პენსიონერების 70%-ს პენსია წინმსწრებად კრედიტში აქვთ აღებული. ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა 700 ათასით შემცირდა. ეს არის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები და არა ნაციონალური მოძრაობის ოფისში შედგენილი მონაცემები.

***— ვინ წარმოგიდგენიათ ამ ერთობაში?***

— ამ ერთობაში ყველა რეალური ოპოზიციური პარტია წარმომიდგენია. მე არ ვსაუბრობ ფსევდოოპოზიციურ პარტიაზე, მე დარწმუნებული ვარ, რომ კონსულტაციების შედეგად ყველა რეალური ოპოზიციური პარტია გაერთიანდება. ამ ქვეყანაში, მადლობა ღმერთს, გაცილებით მეტი არის ის მოქალაქე, რომელსაც უნდა ხვალინდელი დღე განვითარებაზე ორიენტირებული და გუშინდელ დღეზე უკეთესი იყოს.

***— თუმცა, ალბათ დამეთანხმებით, ძალიან რთული ამოცანაა, რომ ოპოზიციამ გაერთიანება შეძლოს. რამდენად რთული იქნება კონსულტაციების პროცესი?***

— გეთანხმებით, რთულია, ადვილი არაფერი არ არის, რაც პოლიტიკას უკავშირდება, მაგრამ ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ლიდერი არის ვალდებული, რომ ხელი შეუწყოს იმ პროცესს, რომელიც დააჩქარებს ხელისუფლების დამარცხებას.

***— მზად ხართ, რომ უარი თქვათ, ნაციონალურ მოძრაობას ჰყავდეს საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი?***

— სამართლიანი მექანიზმი უნდა იყოს გამონახული, ეს იქნება პრაიმერი თუ სხვა მექანიზმი, წინასწარ ვერ გეტყვით, რა მექანიზმი შეიძლება ეს იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა შევარჩიოთ ყველაზე ძლიერი, კონკურენტუნარიანი და ანგარიშგასაწევი კანდიდატი, რომელსაც ყველაზე დიდი შანსი ექნება, რომ სახელისუფლო კანდიდატი დაამარცხოს.



***— ვინ წარმოგიდგენიათ ამ ერთობაში?***

— ეს კონსულტაციების შედეგად გახდება ცნობილი. დარწმუნებული ვარ, ყველა რეალური ოპოზიცია იქნება წარმოდგენილი ამ დიდ ერთობაში.

***— დღეს თუ დგას ასე საკითხი — მინუს ვინმე?***

— ამას წარმოაჩენს კონსულტაციები. მთავარი არის შევთანხმდეთ პრინციპზე. ყოველდღიურ რეჟიმში უნდა გაიმართოს კონსულტაციები და ჩვენ შეთანხმებას უნდა მივაღწიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან რთული იქნება. შექმნილ ვითარებაში გამოსავალი არის ჯანსაღი ძალების ერთობა თუ ამას ვერ გავაცნობიერებთ, მაშინ წინ არაფერი არ უდგას მილიარდერს და იმ ხელისუფლებას, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, საშოვარზეა მოსული.

***— ამ ერთობაში რამდენად შეიძლება ვიხილოთ, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე, „პატრიოტთა ალიანსი“?***

— მე არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო. ლაკმუსის საუკეთესო ქაღალდი იქნება ის დღე, როდესაც ოპოზიცია კონსულტაციებისთვის შეიკრიბება. ჩვენ დავინახავთ, ვინ დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან და ვინ არ დაჯდება ამ მაგიდასთან.

***— მაინც როგორ ფიქრობთ, პრაიმერი უნდა ჩატარდეს თუ ფიქრობთ, აპარტიული ადამიანი უნდა იყოს?***

— ეს ყველაფერი მოლაპარაკებებით, კონსულტაციებით უნდა გადაწყდეს. შეიძლება მე ერთს ვფიქრობდე, მაგრამ მოლაპარაკებებზე რა შეთანხმებაც იქნება მიღწეული, ისე უნდა მოხდეს. სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ფორმატში უკვე რამდენიმე კვირაა, რაც მოლაპარაკება მიმდინარეობს, შეხების წერტილების დაახლოება ხდება.

***— ამ საკითხზე უკვე დაიწყო მოლაპარაკება?***

— სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ფორმატში მიმდინარეობს შეხვედრები, მოლაპარაკებები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოლაპარაკებები ყველასთან დაიწყო და უკვე მთელი ოპოზიცია ერთი მაგიდის გარშემოა მობილიზებული. ჩვენ ვხედავთ წარმოუდგენელ სტაგნაციას და თუ ამას ერთიანი ფრონტი არ დაუპირისპირდება, მაშინ ძალიან რთული იქნება. ყველა საარჩევნო ბატალია, რომელიც იქნება ამ ქვეყანაში, რასაკვირველია, უმჯობესია ერთიანი ფორმატით იყოს წარმართული. დღეს ოპოზიციის ერთობას ალტერნატივა არა აქვს.

***— კონსტიტუციის რეფორმის შედეგად ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტს არა აქვს აღმასრულებელი ფუნქცია. მიუხედავად ამისა, ასეთი მნიშვნელოვანია საპრეზიდენტო არჩევნები?***

— რა თქმა უნდა! რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილებებს. აქ მთავარი არის შედეგი, იმის ჩვენება, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ყველასთვის, რომ ოპოზიციამ შეძლო არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება. ეს არის ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი. ისე უნდა გითხრათ, რომ პოლიტიკოსისთვის და პოლიტიკური პარტიისთვის არ არსებობს პირველხარისხოვანი არჩევნები და მეორეხარისხოვანი არჩევნები. ყველა დონის არჩევნები მნიშვნელოვანია. დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა ნორმალური პოლიტიკური ძალისთვის, არა აქვს მნიშვნელობა, რა არჩევნებია, მისი მოგება არის მნიშვნელოვანი. მით უფრო, როდესაც საუბარია საპრეზიდენტო არჩევნებზე. როგორ გგონიათ, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლება დამარცხდება, ამას რა მოჰყვება?!

***— რა მოჰყვება?***

— გეტყვით: ხელისუფლება ჩამოიშლება დომინოს პრინციპით. ნებისმიერ არჩევნებში დამარცხების შემდეგ ხელისუფლება, რომელიც არაფერზე არ დგას, გარდა ივანიშვილის ფულისა, ჩამოიშლება.

# გიგა ბუკია: „ოპოზიცია ერთიან პრეზიდენტობის კანდიდატს ვერ წამოაყენებს“

## „ვიზალიბერალიზაციის წესების დარღვევისთვის ფინანსურ სანქციებს ავამოქმედებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას**.

***— თქვენი კოლეგები ნაცმოძრაობიდან ისევ მოითხოვენ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ჟურნალისტ აფგან მუხთარლის თბილისიდან გაუჩინარების საკითხზე. მათი კიდევ ერთი მოთხოვნაა, პარლამენტის კომისიამ გამოიძიოს პანკისში ჩატარებული სპეცოპერაცია.***

— აფგან მუხთარლის საქმის გამოძიებას აგრძელებს პროკურატურა. პარლამენტმა რატომ უნდა შექმნას ამის გამო კომისია? არ არსებობს არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა იმას, რასაც მუხთარლი ამბობს. ბოლო დროს მან პოლიტიკური ხმაურიანი განცხადებები გააკეთა.

***— გულისხმობთ მის განცხადებას იმის შესახებ, რომ მის გატაცებაში საქართველოს პირველი პირები იყვნენ ჩართული?***

— რასაკვირველია. ეს აბსურდული განცხადებაა. საიდან მოაქვს ასეთი ბრალდება, გაუგებარია. თუ ამ კაცმა წინასწარ იცოდა, რომ თბილისში მას საქართველოს ხელისუფლება დევნიდა, ამაზე ხმა ხომ უნდა ამოეღო? აფგან მუხთარლი თავისი აბსურდული ბრალდებებით ყურადღების მიქცევას ცდილობს. მას საკუთარი თავის მნიშვნელოვან ფიგურად წარმოჩენა უნდა. ეს კაცი ითვლება აზერბაიჯანელ პოლიტდევნილად და ცნობილ გამომძიებელ ჟურნალისტად, რომელიც დასახლდა თბილისში. არადა, მის შესახებ ამ ფაქტამდე საქართველოს საზოგადოებას არაფერი ჰქონდა გაგონილი. მისი არც დაწერილი გვინახავს და მოწყობილი. ნაცმოძრაობა ამაზე აჟიოტაჟს ტეხს. ამ საკითხის



პარლამენტში გამოძიების მოთხოვნა არასერიოზულია.

***— პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის პარლამენტში გამოძიების თაობაზე რას იტყვით?***

— ტერორიზმთან ბრძოლა საერთაშორისო პრობლემაა. ამ საკითხზე სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ასეთი საქმეების გამოძიება ყველგან საიდუმლოა. პანკისში ჩატარებული სპეცოპერაცია სენსიტიური საკითხია. სამწუხაროდ, ტერორიზმთან კავშირის გამო პანკისელები დააკავეს. ამას წინ უძღოდა ნოემბერში თბილისში მოწყობილი სპეცოპერაცია. ნაცმოძრაობას უნდა, რომ ეს პარლამენტმა გამოიძიოს? მაგათ ოღონდ იხმაურონ და სახელმწიფოებრივ ინტერესს არად დაგიდევენ!

***— ნაცმოძრაობის არაფორმალურმა ლიდერმა, საქართველოს მესამე პრეზიდენტმა ინტერესი გამოხატა საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ. მან ოპოზიციას ერთიანი კანდიდატურის წამოყენებისაკენ მოუწოდა. ამას მოჰყვა „ლიდერთა საბჭოს“ წევრების კომენტარები. ისინი აცხადებენ, რომ ამ საკითხზე სამი თვეა მსჯელობენ.***

— ამ „ლიდერთა საბჭოდან“ არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვეს ნინო ბურჯანაძემ და შალვა ნათელაშვილმა. ისინი ერთმანეთის მეტოქეები არიან.

***— დავით უსუფაშვილიც არ გამორიცხავს საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმას.***

— რამდენი კანდიდატიც არ უნდა იყოს, ოპოზიციას ერთიანი პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების არც სურვილი აქვს და არც — რეალური შესაძლებლობა. ამ განცხადებებს პოლიტიკური მიზანი აქვს. ამ განცხადებების ავტორებს უნდათ იმის ჩვენება, რომ ისინი მზად არიან ერთიანობისა და თანხმობისთვის, სხვები კი — არა. რა როგორ იქნება, პროცესები დაგვანახებს.

***— სააკაშვილი რატომ ჩაერთო ამ თემის განხილვაში?***

— ის ნაციონალური მოძრაობის ლიდერად თვლის თავს და ცდილობს, მისი ყურადღების მიღმა არ აღმოჩნდეს საქართველოში მიმდინარე პროცესები.

***— მტკივნეულ პრობლემად იქცა ვიზალიბერალიზაციის წესების დარღვევა. გამართლდა პროგნოზი იმის შესახებ, რომ ევროპაში დარჩენის მსურველთა რაოდენობა დიდი იქნებოდა და დაირღვეოდა იქ ყოფნის ვადა.***

— ეს, მართლაც, მტკივნეული პრობლემაა, რომელიც ეხება ყველა ჩვენგანს. ეს ის საკითხია, რომელზე პასუხისმგებლობა ნებისმიერ მოქალაქეს გვაკისრია. ხელისუფლების ძალისხმევით საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო. ამან ბევრ ჩვენს თანამემამულეს გაუხსნა კარი ევროპაში. უვიზოდ, მინიმალური თანხით შესაძლებელი გახდა ევროპის ქვეყნების მონახულება. სამწუხაროდ, ზოგს დღემდე არასწორი წარმოდგენა აქვს ვიზალიბერალიზაციაზე. ყველას არ ესმის, რომ საქართველო აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად და მის მოქალაქეებს ადვილად პოლიტიკურ თავშესაფარს არავინ მისცემს.

ბევრს არასწორი მოლოდინი ჰქონდა. პრობლემის მოსაგვარებლად მზადდება კანონპროექტი. ის ითვალისწინებს ფინანსურ სანქციებს მათთვის, ვინც დაარღვია კანონმდებლობა და გახდა დეპორტაციის ობიექტი. განხორციელდება ასევე შესაბამისი საინფორმაციო კამპანია, რათა ევროპაში წამსვლელმა იცოდეს, რა ელის კანონდარღვევის შემთხვევაში.

***— ევროპაში არალეგალურადაც რჩებიან. ყველა პოლიტიკურ თავშესაფარს არ მოითხოვს.***

— რა თქმა უნდა. ყველაფერი მოწესრიგდება. ვიზალიბერალიზაცია ჩვენთვის ახალი მოვლენაა. საამისო გამოცდილება არ გვქონდა. ახლა უკვე სურათი გვაქვს. ის ღრმა ანალიზს მოითხოვს. უწყებები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ანალიზის საფუძველზე გამოიმუშავებენ სპეციალურ ზომებს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ არ ამოქმედდეს ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმი. ეს არ არის მხოლოდ ხელისუფლების სატკივარი. ყველა მოქალაქე ვალდებულია, არ დაარღვიოს დადგენილი ნორმები და თავისი არასწორი საქციელით ზიანი არ მიაყენოს ქვეყანას, მის მომავალს და ურთიერთობას ევროკავშირთან.

# ლევან ხაბეიშვილი გიორგი კვირიკაშვილს უჩივის

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი აუდიტის სამსახურისგან პრემიერის და მისი მამის საქმის შესწავლას ითხოვს.

ოპოზიციონერი გიორგი კვირიკაშვილის მამის ქონებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მთავრობის მეთაურის ქონებრივ დეკლარაციას გაეცნო. დეკლარაციაში კვირიკაშვილს უწერია, რომ მამამ, ჯემალ კვირიკაშვილმა, გასულ წელს 50.000 დოლარი აჩუქა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ხაბეიშვილი გიორგი კვირიკაშვილის ქონებრივი დეკლარაციით ინტერესდება და სათანადო უწყებებისგან მის შესწავლას ითხოვს.

– 2016 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურას მივმართე. მაშინ პრემიერს ქონებრივ დეკლარაციაში ეწერა, რომ მისი და მისი მეუღლის შემოსავალი 83.000 ლარი იყო, ხოლო გასავალი 200.000 ლარზე მეტი. ეს გასავალი ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკისთვის“ გადახდილი ვალი იყო. ამ ვალის შესახებ მას ქონებრივ დეკლარაციაშიც უწერია.

ბუნებრივია, დავინტერესდით, როგორ გადაიხადა ადამიანმა 200.000 ლარი, როცა მისი და მისი ოჯახის წლიური შემოსავალი მხოლოდ 83.000 ლარი იყო. ამ საკითხის გამოძიება პროკურატურას ვთხოვეთ. საგამოძიებო უწყებას უნდა დაედგინა, არასწორად ხომ არ ჰქონდა პრემიერს დეკლარაცია შევსებული და გადასახადებს მალავდა. იყო მეორე ვარიანტიც, კვირიკაშვილს შესაძლოა არალეგალური შემოსავალი ჰქონოდა, საიდანაც გადაიხადა 200.000 ლარი, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ლევან ხაბეიშვილმა.



მისი თქმით, საგამოძიებო უწყებამ ამ საკითხის შესწავლა არ ისურვა და საქმე თაროზე შემოდო.

საკრებულოს დეპუტატი მიიჩნევს, რომ ამ სკანდალის აგორების შემდეგ მთავრობის მეთაური უნდა გადამდგარიყო.

– წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, საქართველო ნორმალური ქვეყანა რომ ყოფილიყო. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე პრემიერი თანამდებობას დატოვებდა. ამან, ვითომ არაფერი, გააგრძელა თანამდებობაზე ყოფნა, პარლამენტის წევრებს დაუწყო კეთილების გინება და არც მორიგ სკანდალს მოერიდა, როცა დეკლარაციაში მამის მიერ ნაჩუქარ 50.000 დოლარზე მიუთითა, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, კვირიკაშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ ახალ მიმდინარეობას ჩაუყარეს საფუძველი. რაც ხაბეიშვილის თქმით, შემდეგში გამოიხატება:



– მთავრობის მეთაურს პრობლემები შეექმნა 2016 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის გამო, სადაც მისი გასავალი შემოსავალზე 2,5-ჯერ მეტია. ვიღაცამ ისიც აუხსნა, რომ ეს კანონდარღვევაა. ასეთი აცდენა რომ აღარ ჰქონოდა, მოიფიქრა, თითქოს მამამ აჩუქა მას 50.000 დოლარი, რაც დაახლოებით 125.000 ლარია. „ოცნებას“ ამ ხერხით უნდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

„ახალ თაობასთან“ საუბარში საკრებულოს დეპუტატი „ოცნების“ მიგნებას იაფფასიან ტრიუკს უწოდებს.

– ეს არის ზღაპარი და იაფფასიანი ტრიუკი. საქართველოში ვერავის დააჯერებ, რომ მთავრობის მეთაურს მამამ ამხელა ფული აჩუქა. იმისთვის, რომ ვიღაცას 50.000 დოლარი აჩუქო, სათანადო შემოსავალი უნდა გქონდეს. ბატონ ჯემალ კვირიკაშვილს ამხელა შემოსავალი ვერ ექნება, რადგანაც მას არც ოფიციალური ბიზნესი აქვს და არც ოფიციალური სამსახური, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, გამოძიების დასადგენია, საიდან მოიტანა ჯემალ კვირიკაშვილმა 50.000 დოლარი, რომელიც მან შვილს აჩუქა.

მძიმე პრაქტიკიდან გამომდინარე, საკრებულოს დეპუტატს პროკურატურისთვის აღარ მიუმართავს და მამა-შვილ კვირიკაშვილების საქმის შესწავლას აუდიტის სამსახურისგან ითხოვს.

– აუდიტის სამსახურმა გამოიძიოს და დაადგინოს, საიდან იშოვა 50.000 დოლარი პრემიერ-მინისტრის მამამ, როდესაც მას ოფიციალურად არანაირი ბიზნესი არ გააჩნია, ასევე მისი დეკლარირებული შემოსავალი, რომ რაიმე გაიყიდა და აქედან მიიღო შემოსავალი, არსად არ ჩანს. ამიტომ კითხვა არის მარტივი, საიდან მოვიდა 50.000 დოლარი კვირიკაშვილის მამის ხელში, მაშინ როდესაც, მის ვაჟს, პრემიერ-მინისტრს წელიწადში 51.000 ლარი აქვს შემოსავალი, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

ოპოზიციონერს ამ ფულთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ ექნება კითხვები.

– ისიც უნდა გავარკვიოთ, ვის გულისხმობს პრემიერი მამაში. თუ მამად პოლიტიკურ მამას ბიძინა ივანიშვილს გულისხმობს, მაშინ რა პრობლემაა. ივანიშვილს მართლა აქვს ამის შესაძლებლობა, – ამბობს ოპოზიციონერი დეპუტატი.

პრემიერის საჩუქრის მიმართ ოპოზიციის დაინტერესებამ საპარლამენტო უმრავლესობა გააცხარა. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ისე გამოვიდა წყობილებიდან, რომ მთელი დღის მანძილზე ვერ გაიხსენა, ვინ იყო ლევან ხაბეიშვილი.



არადა ცნობილი ფაქტია, რომ ჩინოსნებს ამ ახალგაზრდათი აშინებენ – კარგად მოიქეცით, ნამეტანი ნუ მიეძალებით პრემიებს, თორემ ხაბეიშვილი რამეს ამოგიქექავთო.

მართალია, ვოლსკიმ არ იცის ვინაა ხაბეიშვილი, მაგრამ იცის, რა უნდა იცოდეს ამ ადამიანმა.

– არ ვიცი, ვინ არის ლევან ხაბეიშვილი, მაგრამ ფაქტი ერთია, რაც, მე მგონი, ლევან ხაბეიშვილმაც და სხვებმაც ძალიან კარგად იციან, რომ გიორგი კვირიკაშვილის მამა დიდია ხანია სოფლის მეურნეობაში დაკავებულია საკმაოდ სერიოზული ბიზნესით, ბევრი ხალხი ჰყავს დასაქმებული და არ არის ადამიანი, ვისაც მხოლოდ პენსია აქვს. ყველამ იცის, რომ „ქართული ოცნება“ არც იყო ხელისუფლებაში, როდესაც ის საკმაოდ მძლავრად იდგა ფეხზე და ეკონომიკურ პროექტს ახორციელებდა. მაინც ასე მგონია, რომ უზნეოს უზნეობა ელანდებოდაო – მე მგონი, ამასთან გაქვს საქმე, – განაცხადა ვოლსკიმ.

ვიცე-სპიკერის ამ განცხადებას საკრებულოს დეპუტატი მშვიდად შეხვდა.

– ახლა აღარ მიცნობს ვოლსკი, ხო? ეგ არაფერი, ეტყობა, მეილზე მისწერეს მეოცნებეებს, თქვით, აზრზე არა ვართ ვინაა ხაბეიშვილიო, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში დეპუტატმა.

# „იერარქიის დანგრევით ინგრევა წესრიგი, ამას კი, განუსაზღვრელი ბოროტება მოჰყვება“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შეჩერებული ავტოკეფალური მმართველობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენცია გახსნა და ავტოკეფალიის აღდგენისადმი მიძღვნილი გამოფენა დაათვალიერა.

გიორგი მარგველაშვილმა მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და ერის განვითარების საკითხში საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს პატრიარქის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ის თანამშრომლობა, რომელიც სახელმწიფოს, ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ხორციელდება და მიმდინარეობდა ერისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ურთულეს პერიოდებში.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, დღეს საზოგადოებაც, სახელმწიფოც და ეკლესიაც ურთულესი გამოწვევის წინაშე დგას და საჭიროა, ერთობლივი ძალისხმევა და მუშაობა ამ სირთულეების დასაძლევად.

გიორგი მარგველაშვილმა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების წინაშე მდგარ ურთულეს გამოწვევებს შორის საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ცალკეული მოქალაქეების გადაჭარბებული აგრესიის დონე, განსხვავებული აზრის მიუღებლობა და საზოგადოებაში გამეფებული უიმედობა დაასახელა.



– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ყველას თავისი განვითარების გზა აქვს – სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, ეკლესიებს და სახელმწიფოს, არის საკითხები, რომლებშიც ჩვენ ყველანი ვთანხმდებით. ეს არის საკითხები, რომლებიც თითოეული ჩვენგანის მიზანს და ზრუნვის საგანს წარმოადგენს: ეს არის ჩვენს საზოგადოებაში არსებული მაღალი აგრესიის დონე, განსხვავებული აზრის მიუღებლობა, მზაობა, რომ განსხვავებული დათრგუნონ და გაანადგურონ.

ყოველი ჩვენთაგანისთვის – ეკლესიისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქალაქე ამ თვალსაზრისით არ იყოს ორიენტირებული აგრესიაზე და სხვის განადგურებაზე.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაბნეულ, ხშირად ღირებულებამოშლილ, არეულ გარემოში ჩვენი მოქალაქე არ იყოს უიმედოდ, ხედავდეს თავისი ყოფის, თავისი ცხოვრების ლოგიკურ მიზანს, არ იყოს ისეთ გარემოში, რომელშიც ხვალინდელი დღე უპერსპექტივო ჩანს.

ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ ეკონომიკურ ან ყოფით პირობებზე, სულიერი უიმედობა ბევრად უფრო რთულია და, ბუნებრივია, ეკლესიაც, ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფებიც და სახელმწიფოც მოწოდებულია იმისთვის, რომ მოქალაქისთვის ეს ყოფა გახადოს იოლად გადასატანი და აჩვენოს მიზანი და დაუსახოს მას, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებაში აგრესიულობის დონის შესუსტების წინაპირობად იერარქიულობის წესის დაცვა და სახელმწიფო ინსტიტუტების პატივისცემა დაასახელა.

– ეს ერთ-ერთი წინაპირობაა საზოგადოებაში აგრესიის შესუსტებისა. როდესაც ინგრევა ძირითადი ინსტიტუტები, ამას მოჰყვება არა მხოლოდ უბრალოდ თავისუფლება, არამედ მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც ამ დანგრევაში არ მონაწილეობს, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

## კრწანისის გამგეობას შენობიდან ასახლებენ — გამგეობა კერძო სახლში გადადის?

კრწანისის რაიონის გამგეობას შენობიდან ასახლებენ, – ამ ინფორმაციას „ენმ“-ს საკრებულოს დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი ავრცელებს. როგორც ხაბეიშვილი აცხადებს, შენობა, რომელშიც გამგეობა ფუნქციონირებდა, მეპატრონემ უცხოელზე გაასხვისა, რომელიც შენობის დაცლას ითხოვს.

ხაბეიშვილი „პირველ რადიოსთან“ საუბარში ამბობს, რომ გამგეობამ ავეჯისა და ინვენტარის გადაზიდვისთვის ტენდერის გამოცხადებაც ვერ მოასწრო:

– კრწანისის გამგეობა იყო იჯარით შენობაში. იხდიდა ქირას. ახლა უცებ გამოაცხადა გამგეობამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ტენდერს ვერ ასწრებს და დასაბუთებაში წერს, რომ კრწანისის რაიონის გამგეობის ფუნქციონირებისთვის ავეჯის და ინვენტარის გადაზიდვა, ადმინისტრაციული შენობის ადგილმდებარეობის დაუგეგმავმა ცვლილებამ გამოიწვიაო, – აცხადებს ხაბეიშვილი „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

ხაბეიშვილის ინფორმაციით, კრწანისის რაიონის გამგეობას ამ ეტაპზე შენობა არ აქვს და დროებით შინდისში, კერძო სახლში გეგმავს გადასვლას.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, „პირველი რადიო“ დედაქალაქის მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ ინფორმაციას გადაამოწმებენ.

## გიორგი ზვიადაძე: „წარმოუდგენელია, რომ აკადემიაში რაიმე ძალადობას ჰქონდეს ადგილი“

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ნაწილის განცხადებებს, რომ აკადემიაში მათზე ძალადობა ხორციელდება, აბსურდს და სიცრუეს უწოდებს:

სასულიერო აკადემიაში, რომელშიც მოღვაწეობენ სასულიერო მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები, ვის წარმოუდგენია, რომ რაიმე სახის ძალადობა იყოს? სასულიერო აკადემია უშუალოდ პატრიარქის მეთვალყურეობის ქვეშ არის, მე არ შემიძლია ვისაუბრო თუ რაში სჭირდებათ ეს განცხადებები. მე შემიძლია ვისაუბრო თუ რა არის სიმართლე და რა – არა. წარმოუდგენელია, რომ აკადემიაში რაიმე ძალადობას ჰქონდეს ადგილი. პირიქით, სამეცნიერო საბჭოს მთელი პედკოლექტივის და სტუდენტების უდიდესი მცდელობაა, რომ რაც შეიძლება მაღალი სულიერების და ცოდნის მიღების საშუალება იყოს აკადემიაში. მე არ შემიძლია რომელიმე ადამიანს გული ვატკინო, არ შემიძლია ვისაუბრო თუ ვის რა მიზანი აქვს. მხოლოდ გეტყვით, რომ სასულიერო აკადემიას აქვს თავისი მიზნები და ამოცანები და ამას წარმატებით ასრულებს. ვამაყობთ, რომ აკადემიაში ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი აღიზარდა და მომავალშიც აღიზრდება და ისინი ჩვენი ქვეყნის სამსახურში იქნებიან. არასოდეს მოხდება, რომ აკადემიამ შეწყვიტოს იმ ამოცანების შესრულება, რაც პატრიარქისგან და მართლმადიდებლური ეკლესიისგან აქვს დაკისრებული, – განაცხადა მამა გიორგი ზვიადაძემ.

# „ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება!“

## რომან გოცირიძე: „ოცნება“ მუხთარლის საქმეზე პასუხს აგებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** პასუხობს.

***— ბატონო რომან, აფგან მუხთარლის საქმეზე, თქვენ პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვთ. როგორც ცნობილია, ციხიდან ორი დღით გათავისუფლებულმა მუხთარლიმ საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთა და მის გატაცებაში ბრალი საქართველოს ხელისუფლებას დასდო. როგორია თქვენი შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო აფგან მუხთარლის განცხადება. ალბათ ყველასთვის მოულოდნელი იყო, რომ ის ორი დღით გამოუშვეს საპატიმროდან. როგორც ვიცით, მას ოჯახის წევრები და და დისშვილები დაელუპა ტრაგიკულად. ჰუმანური აქცია იყო, რომ ის გამოუშვეს, მაგრამ სამწუხაროდ, ერთ დღეში ის უკანვე დააბრუნეს.

***— რატომ?***

— ეს თავისთავად ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, რადგან მუხთარლი ორი დღით იყო გამოშვებული. მისი საპატიმროში დაბრუნება დაჩქარდა ალბათ იმიტომ, რომ პირველად გააკეთა მან განცხადებები ღიად, ცენზურის გარეშე და ფაქტიურად ამხილა საქართველოს ხელისუფლება დანაშაულებრივ ქმედებაში. ეს არის ძალიან სერიოზული დანაშაული, რომელსაც უკვე აქვს ძალიან სერიოზული რეზონანსი. ამ დანაშაულში მონაწილეობს საქართველოს სახელისუფლო ვერტიკალი. დაწყებული ძალოვანი სტრუქტურებიდან, დამთავრებული ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებით.

***— თუმცა ჩვენ მოვისმინეთ შეფასებები, რომ მას არა აქვს ხელთ მტკიცებულებები, სამხილები. თუ პრემიერი კვირიკაშვილი არა, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად იქნებოდა ჩართული ჩემს გატაცებაშიო და ასე ვარაუდებით საუბარი ამხელა ბრალდებაზე რამდენად სერიოზულია?***

— ეს ყველაფერი ცხადზე ცხადია და მტკიცებულებებიც არის ძალიან მარტივი. რაც მოყვა მუხთარლიმ, ის უნდა გააბათილოს საქართველოს ხელისუფლებამ.

***— როგორ?***

— სად არის ის 100 კამერა, რომელიც მისი დაკავებიდან საზღვარზე მიყვანამდე უნდა ყოფილიყო ჩანაწერების სახით?! რატომ განადგურდა ასივე კამერაში ინფორმაცია?! მეორე მხრივ, როდესაც ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია კვირიკაშვილის მიერ, შეუძლებელია, რომ კვირიკაშვილს ეს გადაწყვეტილება მიეღო ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე.



***— თქვენ ასე ფიქრობთ?***

— ეს ძალიან მარტივი ლოგიკაა. რაც შეეხება იმას, რაც მან მოყვა, საზღვარზე გადაყვანა და ასე შემდეგ, რატომ არ არის ამოღებული კამერების ჩანაწერები და რატომ არ არის ჩატარებული საგამოძიებო ქმედებები, რათა საზოგადოება დარწმუნებულიყო საპირისპიროში. დღეს, არავის არ ეპარება ეჭვი, არც საქართველოში და არც უცხოეთში, რომ ეს გატაცება მოხდა საქართველოს ხელისუფლების ჩარევით! ეს რომ არ ყოფილიყო მათი გაკეთებული, ეს იქნებოდა გამოძიებული. გავიდა 9 თვე და ხელისუფლებას ამ ცხრა თვის განმავლობაში არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩაუტარებია, ყოველ შემთხვევაში, შედეგები არ დაუდია და არ უჩვენებია საზოგადოებისთვის, რაც მათ პირად ინტერესშია. რაც უფრო დიდი დრო გავა, მით უფრო მეტად იქნება ხელისუფლების ესა თუ ის წარმომადგენელი დამნაშავედ მიჩნეული.

მათ რომ მოენანიებინათ და ეღიარებინათ დანაშაული, თუნდაც დაბალი ღობეებისთვის გადაებრალებინათ, ესეც გარკვეული შეღავათი იქნებოდა მათთვის და მათი მომავალი სასჯელი იქნებოდა უფრო ნაკლები, ვიდრე ეს დადგება სამომავლოდ.

***— თქვენ ფიქრობთ, ხელისუფლებას მუხთარლის ბრალდებებზე პასუხი არ აქვს? საპასუხოს ვერ ამტკიცებს?***

— ხელისუფლებას რაიმე გამამართლებელი საბუთი რომ ჰქონდეს, მაშინ ის ამას აუცილებლად გამოამზეურებდა, იმიტომ, რომ რაც



დრო გადის, უფრო და უფრო ზიანდება ხელისუფლების იმიჯი და უფრო მეტად განიცდის საერთაშორისო სარბიელზე დისკრედიტაციას. იმიტომ, რომ არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო უფლებადამცავი ორგანიზაციები და სერიოზული ევროპული სტრუქტურები, რომლებიც არ მოუწოდებდნენ საქართველოს ამ საკითხის დროულ გამოძიებას. ამას მოწმობს იგივე ევროპარლამენტის სპეციალური რეზოლუცია, სადაც ნახსენებია ამ საქმის დაუყოვნებლივ გამოძიება. ამიტომ ხელისუფლების ინტერესშიც უნდა იყოს, რომ ეს გამოძიებული იყოს. ხოლო თუკი ვერ იძიებს, ეს ნიშნავს, რომ არიან ძალიან უსუსურები. თუმცა მე ასე არ ვფიქრობ, უსუსურები კი არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში განა ვერ იძიებს, არამედ არ იძიებს. ჰგონიათ, რომ დროთა განმავლობაში ეს საკითხი მიეცემა დავიწყებას.

***— თქვენ რა შედეგებს ელით?***

— არავითარ შემთხვევაში არ მიეცემა! ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების მეოთხედ საუკუნოვანი ისტორია გვაჩვენებს, რომ ყოველთვის მსგავსი მასშტაბური დანაშაულის ჩამდენი პირები აღმოჩნდებიან განსასჯელის სკამზე. გავიხსენოთ, როგორ იცვლებოდა ხელისუფლებები. ჩვენ დავინახეთ, უმაღლესი თანამდებობის პირები როგორ დაისაჯნენ, ზოგი უსამართლოდ, განსაკუთრებით ეს ეხება ნაციონალური მოძრაობის წევრების პოლიტიკურ დევნას. ზოგიც კი დაისაჯა სამართლიანად. ზუსტად ასევე მოუვა ამ ხელისუფლებასაც. ადრე იქნება თუ გვიან, ხელისუფლება შეიცვლება! ეს არის ბუნების კანონი, რომ არ არსებობს მუდმივი ხელისუფლება.

***— ამაში დარწმუნებული ხართ?***

— თუ ამაში ვინმეს ეჭვი გეპარებათ, დადგება ეს დროც და მე ამოვიღებ ამ ჩანაწერს და ვაჩვენებ იმ ადამიანებს, როდესაც იქნება მათი სასამართლო პროცესი. მთავრობა ვერ გამოიძიებს საკუთარ დანაშაულს. ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც დღეს ფორმალურად შეიძლება იყოს ამ საკითხის ობიექტური გამომძიებელი, ეს არის პარლამენტი. მხოლოდ პარლამენტს აქვს მექანიზმი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის. კეთილი ინებოს საქართველოს პარლამენტმა და შეასრულოს საკუთარი კონსტიტუციური მოვალეობა და შექმნას პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის აფგან მუხთარლის უკანონოდ გატაცებისა და საქართველოს საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის ფაქტს.

***— ჩვენ მოვისმინეთ უმრავლესობის დეპუტატების განცხადებები და ისინი აბსურდულს უწოდებენ მუხთარლის განცხადებებს. აქედან გამომდინარე, რამდენად გაქვთ იმედი, რომ შეიქმნება დროებითი კომისია?***

— უმრავლესობის წევრებს, ცხადია, ეს არ ადარდებთ. იციან, რომ კომისია თუ არ შეიქმნება, მათ ამისთვის არავინ არ დასჯით სისხლის სამართლებრივი წესით, თუმცა ხალხი მიხვდება მათ უსუსურობას და უუნარობას. უნდა იცოდეს უმრავლესობამ, რომ ამით დათვურ სამსახურს უწევენ აღმასრულებელ ხელისუფლებას. რაც უფრო მეტად იქნება ეს საკითხი მიჩუმათებული და გამოუძიებელი, მით უფრო მეტად იზრდება იმ ადამიანთა დანაშაულებრივი ქმედებები, ვინც ეს საქმე ჩაიდინა. აფგან მუხთარლის საქმე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შავი ლაქა ამ ხელისუფლების საქმიანობის პერიოდში. რა თქმა უნდა, ბევრი შავი ლაქა აქვთ, მაგრამ ეს ერთ-ერთი დიდი ლაქაა.

## ალავერდის მიტროპოლიტი ტუალეტის ქაღალდის შესაძენად მერიისგან თვეში 2.000 ლარს ითხოვს

ალავერდის ეპარქიის მიტროპოლიტი დავითი (ირაკლი მახარაძე) ახმეტის მერიისთვის გაგზავნილი წერილით სამონასტრო კომპლექსთან მდებარე ტუალეტისთვის ქაღალდისა და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად ყოველთვიურად 2.000 ლარის გადარიცხვას ითხოვს.

ინფორმაციას ამის შესახებ „რეგინფო“ ავრცელებს. მათი ინფორმაციით, ახმეტის მერიამ ალავერდელ მიტროპოლიტს ტუალეტისთვის ქაღალდის და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად წელიწადში 24.000 ლარით დაფინანსებაზე უარი უთხრა, თუმცა ახმეტის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები უარყოფენ ეპარქიიდან მერიაში მსგავსი შინაარსის წერილის მიღებას.

## გიორგი კვირიკაშვილი: „მნიშვნელოვანია, რომ ახალი ენერგია შემოვიდეს ქართულ პოლიტიკაში“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა. ქვეყნის მასშტაბით, 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრებს მთავრობის მეთაურმა ფორუმის დაარსება მიულოცა და აღნიშნა, რომ ქართულ პოლიტიკაში ახალი ენერგია ძალიან მნიშვნელოვანია. პრემიერის თქმით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საკრებულოების შემადგენლობები საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, რაც კარგი ტენდენციაა.

— თქვენი ერთად ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენთვის არის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანი, რომ ეს ახალი ენერგია შემოვიდეს ქართულ პოლიტიკაში. სადაც არის ასეთი მოძრაობა და სადაც არის სიახლის შემოსვლა გაადვილებული, ასეთი სისტემა არის მხოლოდ და მხოლოდ გამართული. საერთოდ, მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ტენდენცია ჩამოყალიბდა ბოლო თვითმმართველობის არჩევნებზე.

ჩვენი საკრებულოების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა. ეს არის ის ტენდენცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჯანსაღ განვითარებაზე მიუთითებს, ვინაიდან, თქვენ ხართ, სწორედ ჩვენი ქვეყნის მომავალი. თქვენ ხართ ის სიახლე, რომელმაც უკეთესობისკენ უნდა შეცვალოს საქართველო, — მიმართა პრემიერმა ფორუმის მონაწილეებს.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ახალი იდეებისადმი გახსნილობა არის ის, რაც ქვეყანას სწრაფ განვითარებას, მოსახლეობას კი კეთილდღეობას მოუტანს.

— მე, საერთოდ, ვფიქრობ, რომ ახალი იდეებისადმი გახსნილობა არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენა და სწორი გზა. ეს არის ერთადერთი, რაც ჩვენს ქვეყანას სწრაფ განვითარებას, მოსახლეობას კი კეთილდღეობას მოუტანს. მე ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდები არიან ჩართულნი ისეთ პროექტებში, როგორიცაა, მაგალითად, „სტარტაპ-საქართველო“, სტარტაპ-კომპანიების დაფინანსება. ჩვენ შარშან დავიწყეთ ეს პროექტი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამეწარმეო სულისკვეთება პირველ რიგში ახალგაზრდებმა აიტაცეს. დღეს უკვე გვყავს ძალიან წარმატებული, დამწყები ბიზნესმენები, რომლებმაც წარმატებული პროექტები ამ პროგრამის მეშვეობით დააფინანსეს. მე მინდა, ყველას მოვუწოდო, რომ იყოს აქტიური, არასოდეს მოერიდოს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვას, ვინაიდან, სწორედ ამ გახსნილობაში არის ჩვენი ქვეყნის განვითარების სწორი გასაღები. მინდა, მივესალმო საკრებულოს ინიციატივას, მიგულოთ მე და ჩვენი გუნდის თითოეული წევრი თქვენს მეგობრებად, ვისთანაც შეგიძლიათ ძალიან ღიად და გახსნილად ისაუბროთ ნებისმიერ საკითხზე. დიდი მადლობა და გილოცავთ დღევანდელ დღეს, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას.

## „ტენდერში რუსული კომპანიის მონაწილეობა პრობლემა არ არის“

— პრობლემა არ არის, თუ რუსული კომპანიის წარმომადგენლობა იღებს ტენდერში მონაწილეობას, — განაცხადა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რუსული სამშენებლო კომპანია „ნიკარემსტროიზე“ დასმული შეკითხვის კომენტირებისას.

საუბარია თბილისში ორ ლოკაციაზე გამოცხადებულ ტენდერზე. „ნიკარემსტროი“ ერთადერთი კომპანია, რომელმაც თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში წინადადებები წარადგინა. ერთი ტენდერი ეხება მარშალ გელოვანისა და სარაჯიშვილის კვეთაზე ესტაკადის მშენებლობას, მეორე კი ცინცაძე-კარტოზიას გადაკვეთაზე ესტაკადის მოწყობას. ამასთან, აღნიშნული კომპანია „შავ სიაში“ იყო შეყვანილი.

— შესაძლოა, ადრე იყო „შავ სიაში“, მაგრამ ახლა არ არის, რადგან როცა დისკვალიფიკაციის ვადა გადის, კომპანიას უკვე შეუძლია ტენდერში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ თუ ახლაც „შავ სიაშია“, ფიზიკურად ვერ მოახერხებს ტენდერში მონაწილეობის მიღებას. რაც შეეხება კითხვას იმის შესახებ, რომ მხოლოდ ეს კომპანია მონაწილეობს ტენდერში, გეტყვით, რომ ეს არ არის სწორი, რადგან ვერც თქვენ და ვერც მე ფიზიკურად ვერ შევძლებდით ამის გადამოწმებას, რადგან ტენდერები არის დახურული და ვერც ერთი კომპანია ვერ ნახავს თუ ვინ მონაწილეობს ტენდერში და რა ფასს წარადგენს. ეს არის დახურული, რათა ყველაფერი იყოს გამჭვირვალე. დაველოდოთ, ვინ იქნება გამარჯვებული. კომპიუტერი ამას ავტომატურად გამოავლენს, — განაცხადა კახა კალაძემ.




რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული კომპანიის დამფუძნებლების სახელები სხვა პროექტებში სატენდერო პირობების დარღვევაში ფიგურირებენ, კალაძემ უპასუხა, რომ ტენდერში არა ფიზიკური, არამედ იურიდიული პირი მონაწილეობს და არ ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით რაიმე პრობლემა იქნება.

— არც ის არის პრობლემა, თუ რუსული კომპანიის წარმომადგენლობა იღებს ტენდერში მონაწილეობას. ჩვენ ამ მიმართულებით არანაირი პრობლემა არ გვაქვს. კომპანიებს შეუძლიათ ჩამობრძანდნენ საქართველოში, ინვესტიცია განახორციელონ, ხალხი დაასაქმონ, ჩვენ ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით, — განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება ოპოზიციის თხოვნას დედაქალაქის მერიისადმი, რომ კარგად შეისწავლონ ამ კომპანიის საქმიანობა და ისე მიიღონ გადაწყვეტილება, თბილისის მერი პასუხობს, რომ „ძალიან ნუ დაიტვირთება ოპოზიცია.

— მინდა მათ ვთხოვო, რომ ძალიან არ გადაიღალონ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ყველა ტენდერი, რომელიც ჩატარდება, იყოს გამჭვირვალე და არანაირი პრობლემა ამ მიმართულებით არ გაჩნდეს. ნუ ინერვიულებთ, თხოვნა მექნება, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

„ნიკარემსტროის“ ფილიალი საქართველოში 2016 წელსაა რეგისტრირებული, სათაო ოფისი კი რუსეთში მდებარეობს. კომპანიას რეესტრის მონაცემებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მალხაზ ლომიძე ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ შპს „ნიკარემსტროის საქართველოს ფილიალი“ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო „შავ სიაშიც“ კი იყო შეყვანილი.

# „შავ სალაროზე“ დამოკიდებული პაციენტის ბედი და დარღვევები სასწრაფო დახმარების ცენტრში

– რა პრინციპით ანაწილებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა პაციენტებს კლინიკებში? არსებობს თუ არა ე.წ. შავი სალაროები და პაციენტების განაწილების კორუფციული სქემა, რა წერია აუდიტის სამსახურის დასკვნაში? – ფაქტები, შეფასებები და ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციები.

## რა დარღვევებზე მიუთითებს აუდიტის სამსახური?

პაციენტების ჰოსპიტალიზაციის კრიტერიუმების და პასპორტიზაციის სისტემის გაუმართაობის გამო, ვერ იქმნება პაციენტის ოპტიმალურად ჰოსპიტალიზაციის და თვითნებური ჰოსპიტალიზაციის პრაქტიკის თავიდან აცილება. გარკვეულ შემთხვევებში ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაციის უახლესი მანძილის უგულებელყოფა და მათი ისეთ დაწესებულებაში მიყვანა, სადაც კლინიკის მიმღებ განყოფილებაში, პაციენტის ხარისხიანი მკურნალობისათვის საჭირო პირობები არ არის. ეს კი, პაციენტის კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფნისას დაგვიანებული რეაგირების და საჭირო მომსახურების ვერ მიღების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის.

– ზემოაღნიშნული ფაქტორები გარდა ხარისხობრივი მნიშვნელობისა, სისტემის გაუმჭვირვალობის და რესურსების არამიზნობრივად გამოყენების რისკებს ქმნის, – აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში.

გარდა ამის, აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასწრაფო სამედიცინო სამსახურს ჯერ კიდევ არ დაუნერგავს გამოძახებების პრიორიტეტების განსაზღვრის დისპეტჩერიზაციის სისტემა. სისტემამ უნდა განსაზღვროს, რომელია მაღალი, საშუალო და დაბალი პრიორიტეტების გამოძახება. გამოძახების დაბალ პრიორიტეტად არასწორად განსაზღვრა ზრდის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი არ იყენებს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კონსოლიდირებულ ბაზებს სამედიცინო დაწესებულებების ნებართვებთან დაკავშირებით, რადგან პასპორტიზაციის სისტემის გაუმართაობის გამო ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აახლებს ინფორმაციას დაწესებულებებში არსებული მომსახურებების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში ნათქვამია, რომ 693 შემთხვევაში გულის და გულის არეში ტკივილის დიაგნოზისას პაციენტები ისეთ დაწესებულებებში გადაიყვანეს, რომელთაც ნებართვა ინტერვენციულ კარდიოლოგაში არ ჰქონდათ. ასევე 335 შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც ისნის რაიონში გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ პაციენტის ჰოსპიტალიზაცია დიღმის მასივში არსებულ საავადმყოფოებში მოხდა, რაც ჰოსპიტალიზაციისას უახლოესი მანძილის პრინციპის დაცვას ეწინააღმდეგება.

ეს აუდიტის სახელმწიფო სამსახურის დასკვნის ის ნაწილია, რომელიც თბილისის მერიის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ეხება. აუდიტი 2014, 2015 და 2016 წლის პირველ ნახევარს მოიცავს.

აუდიტის დასკვნის გარდა, რომელიც ამ მიმართულებით სისტემაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს, აღმოჩნდა, რომ პაციენტების ჰოსპიტალიზაციის საკითხი ეჭვს სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებშიც იწვევს.

## ბიზნესინტერესები?

„პირველი საავადმყოფოს“ გენერალური დირექტორის დავით ოშხერელის განცხადებით, დღემდე გაურკვეველია თუ რა სტანდარტებით ხელმძღვანელობს სასწრაფო პაციენტების ჰოსპიტალიზაციისას. რატომ მიჰყავთ ხშირად თბილისის ერთი უბნიდან პაციენტი სულ სხვა უბანში, როდესაც კლინიკა მის საცხოვრებელთან ახლოსაც მდებარეობს.

– საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ზეპირი ინსტრუქციებით ხდება. პაციენტებს სიტყვიერად ანაწილებენ, სწორედ ესაა ზეპირი ინსტრუქცია. მეც არ ვიცი, ეს განწყობის მიხედვით ხდება? ერთმანეთში მოილაპარაკეს? – აღნიშნა ოშხერელმა „იმედთან“ საუბარში.




სასწრაფო დახმარების მიერ სუბიექტური წესით კლინიკებში პაციენტების გადაყვანის მიზეზის ახსნას კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ დირექტორი შეეცადა. ანზორ მელიამ „რუსთავი 2“-ს უთხრა, რომ თბილისში საავადმყოფოებს პარლამენტის დეპუტატების ნაწილის სახით ლობისტები ჰყავთ. მისივე თქმით, ზეწოლაა სასწრაფოზეც.

დგას თუ არა აუდიტის დასკვნაში ნახსენები გაუმართავი ჰოსპიტალიზაციის უკან კერძო ინტერესები? ჯანდაცვის სპეციალისტი ვატო სურგულაძე ამბობს, რომ სისტემაში პრობლემა დიდი ხანია არსებობს და საქმე პაციენტების განაწილების კორუფციულ სქემასთან მიდის.

– ცნობილი ფაქტია ის, რომ არსებობს ე.წ. შავი სალაროები, სადაც კონკრეტული ბრიგადები შესაბამის გასამრჯელოს იღებენ, რათა პაციენტი სწორედ კონკრეტულ კლინიკაში მიიყვანონ, – აღნიშნავს სურგულაძე „იმედთან“ ინტერვიუში.

ჰოსპიტალში მისული თითოეული პაციენტი კლინიკისთვის შემოსავალს ნიშნავს, ამიტომაც არსებობს კონკურენცია სამედიცინო დაწესებულებებს შორის და სურვილი, რაც შეიძლება მეტი პაციენტი მიიღონ. ჯანდაცვის ექსპერტი სწორედ ამ მოტივით ხსნის ვერსიას, რომ სასწრაფო დახმარებას კლინიკებში პაციენტები გარკვეული თანხის სანაცვლოდ მიჰყავს.

– ეს პრობლემა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბების შემდგომ გაჩნდა, – აცხადებს ვატო სურგულაძე.

## რა პასუხი აქვთ ბრალდებებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში?

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში კლინიკებთან გარიგებას უარყოფენ. აუდიტის სამსახურის დასკვნის საწინააღმდეგოდ ამბობენ, რომ პრობლემა პაციენტების თანაბრად გადანაწილების საკითხში არ არსებობს. ცენტრში ამბობენ, რომ 2014 წლის 1 იანვარს დამტკიცებული ჰოსპიტალიზაციის წესის მიხედვით ხელმძღვანელობენ, რაც ტერიტორიული პრინციპის კლინიკებში არსებული სერვისების, პაციენტის სურვილის და რიგითობის გათვალისწინებას გულისხმობს.

როგორც თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი მაკა გვარამია აცხადებს, მსგავსი პრობლემა მათ სამსახურში არ დგას. გვარამიას განცხადებით, სიცრუეა თითქოს სასწრაფო დახმარების ცენტრი გარიგებულია კონკრეტულ კლინიკებთან და პაციენტების შეყვანა კი სწორედ ამ კლინიკებში ხდება. მისივე თქმით, სასწრაფო დახმარების ცენტრის გარშემო ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს მიზანმიმართულ კამპანიას და გარკვეული პირების ინტერესებს უკავშირებს.

– ეს არის 2014-15 წლების აუდიტის დასკვნა. კლინიკებს, რომლებიც მუდმივად მანიპულირებენ იმით, რომ თითქოს და ჰოსპიტალიზაცია მათ კლინიკებში შემცირდა. ბოლო წლების განმავლობაში ფართოდ განვითარდა ჰოსპიტალური სექტორი, ანუ კლინიკების რაოდენობამ კლასტერებში იმატა. შესაბამისად, კონკურენტული გარემოც შეცვლილია. აქედან გამომდინარე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ახორციელებს პაციენტების გაყვანას კლინიკებში, კონკრეტული კლინიკების სერვისების, შესაძლებლობების, ტერიტორიების და პაციენტების შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით. არსებობს კერძო დაზღვევაში მყოფი პაციენტების გარკვეული რაოდენობა, შესაბამისად, ამ პაციენტებს გააჩნიათ მოთხოვნა, რომ ისინი იყვნენ გადაყვანილი კონკრეტულ პროვაიდერ კლინიკებში, – ამბობს გვარამია.

მას შემდეგ, რაც პაციენტთან მისული სასწრაფო დახმარების ჯგუფი მის ჰოსპიტალში გადაყვანის გადაწყვეტილებას იღებს, ჰოსპიტალიზაციის მენეჯერს უკავშირდება. მენეჯერი პაციენტის ჩვენებიდან გამომდინარე განსაზღვრავს, თუ რომელ კლინიკაში უნდა მოთავსდეს, ტერიტორიულად რომელი საავადმყოფოა ყველაზე ახლოს. ასევე, წესით უნდა განსაზღვროს, რომელი კლინიკის რიგია პაციენტის მიღების კუთხით, თუმცა ამ რიგითობის ელექტრონული სისტემა სასწრაფო დახმარების ცენტრში ჯერ დანერგილი არ არის.

## რას ამბობს მინისტრი?

ჯანდაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო, აუდიტის სამსახურის მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის საქმიანობის შესწავლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებს ეხმაურება.

– ზოგიერთ კერძო კლინიკას გადაჭარბებული შეხედულება აქვს ნამდვილად სასწრაფო დახმარების პაციენტის მიყვანის შესაბამისობაზე საკუთარ ბიზნეს ინტერესებთან. ამოსავალი წერტილი არის პაციენტის უსაფრთხოება და შესაბამისი მოვლა. გამოიყენება ორი პრინციპი, ერთი არის ტერიტორიული, მეორე არის იმ პროფილის დახმარების მიღების შესაძლებლობა. ზოგჯერ ტერიტორიული პრინციპის დაცვა ვერ ხერხდება იმიტომ, რომ იმ არეალში შესაბამისი პროფილი არ არის. რაც შეეხება სასწრაფოს მუშაობას, არის ერთობლივი სქემები, რომელიც სინქრონიზებულია ჯანდაცვის სამინისტროსთან და განსაკუთრებით წლევანდელი წლის დასაწყისიდან ეს სქემები აქტიურად მუშაობს. მაგალითად, შემიძლია გითხრათ, რომ შემოვიდა ახალი ვალდებულება, რომ კლინიკას, ვისაც აქვს გადაუდებელი მიღება, უნდა ჰქონდეს შესაბამისი გადაუდებელი მიმღები განყოფილება. ვისაც არა აქვს, მათთან სასწრაფო დახმარება არ მიიყვანს პაციენტებს და ეს ასეც ხდება. შეიძლება ეს სიახლე გარკვეულად გახდა ზოგიერთი კლინიკის უკმაყოფილების მიზეზი, – განმარტავს დავით სერგეენკო.

# დავით სერგეენკო: „პაციენტებისათვის მეტი წამლის გამოწერა პრობლემაა“




პოლიპრაგმაზია უცნობი არ არის ჩვენთვის და გარწმუნებთ, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან ეფექტური მუშაობა მიმდინარეობს, – ამის შესახებ დავით სერგეენკომ ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციიის ხელმძღვანელის, ირაკლი მარგველაშვილის განცხადების საპასუხოდ აღნიშნა.

– ზოგადად, გლობალურ მედიცინაში არსებობს ასეთი ცნება, რომელსაც პოლიპრაგმაზია ჰქვია, როდესაც ექიმები იმაზე მეტ წამალს უწერენ პაციენტს, ვიდრე რეალურად არის საჭირო. ამას თავისი მიზეზები აქვს. ნაწილობრივ გარკვეული მარკეტინგული ინტერესები, ნაწილობრივ, ექიმის მიერ თავის გადაზღვევა, რომ პაციენტს რამე არ დააკლდეს. ეს მიმართულება უცნობი არ არის ჩვენთვის და გარწმუნებთ, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან ეფექტური მუშაობა მიმდინარეობს, – განაცხადა სერგეენკომ.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, ჯანდაცვის მინისტრისა და მედიკამენტების წარმოების სფეროში მოქმედი კომპანიების წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეხვედრაზე მწარმოებელ არაკეთილსინდისიერი ფარმაცევტული კომპანიების არაეთიკური ქმედებების გაკონტროლების საკითხი დასვა.

– ცივილური ინდუსტრია მოითხოვს, რომ მნიშვნელოვნად გაკონტროლდეს არაეთიკური საქციელი, რასაც ბევრი არაკეთილსინდისიერი ფარმაცევტული კომპანია დღეს საქართველოში ასრულებს, კერძოდ, ექიმებისა და სამედიცინო სფეროს დაინტერესება, რის სანაცვლოდ ხდება არამიზნობრივი დანიშვნა საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტების. ეს არის ჩვენი თხოვნა, პარტნიორობის ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ საქართველოს მთავრობისგან ველით, – განაცხადა მარგველაშვილმა.

# ლიმონათი „ხილიანის“ საწარმო აუქციონზე ნახევარფასად იყიდება

ბანკი ქართუს წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად, ლიმონათი „ხილიანის“ მწარმოებელი „ქართული ლიმონათის“ ქონება აუქციონზე უკვე ნახევარფასად იყიდება.

სარეალიზაციოდ წარმოდგენილია ნატახტარში მდებარე მიწის ნაკვეთი, 19.850 კვ.მ, მასთან ფაქტობრივად გაერთიანებული არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 150 კვ.მ, შენობები, საწარმოო ხაზები და ავტომობილები.

ნატახტარში მდებარე საწარმოს საწყისი ფასი 10.836.628 ლარიდან 5.418.314 ლარამდეა შემცირებული. „ბიჯი“ 500 ლარია. აუქციონი 14 თებერვალს, 12:00 საათზე დასრულდება.

წინა აუქციონზე გამოტანილ ლიმონათი „ხილიანის“ საწარმოს მყიდველი არ გამოუჩნდა და აუქციონი არ შემდგარად გამოცხადდა. შეგახსენებთ, საწარმო უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით შეიქმნა. წარმოებაში 10 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა და 100-მდე ადგილობრივი დასაქმდა.




# სამდღიანი პაუზის შემდეგ „ბადაგონის“ ორივე ქარხანა ამუშავდა



კომპანია „ბადაგონმა“ წარმოების პროცესი განაახლა. ამის შესახებ „კომერსანტს“ კომპანიაში განუცხადეს. საუბარია, ზემო ხოდაშენსა და მანავში მდებარე ქარხნებზე, რომლებმაც მუშაობა 9 თებერვალს, კომპანიაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესვლის შემდეგ შეაჩერეს.

– ერთ დღეში ქარხნების 100 პროცენტით სამუშაო რეჟიმში გადასვლა არ ხდება. პროცესი დაწყებულია, დღის ბოლომდე ან მაქსიმუმ ხვალ დილამდე ქარხნები 100 პროცენტით განაახლებენ მუშაობას, – აცხადებენ „ბადაგონში“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ ცალსახად მნიშვნელოვანია ის, რომ ბიზნეს საქმიანობისთვის შეიქმნას ნორმალური პირობები და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებამ სამუშაო პროცესი არ შეაფერხოს.

– ჩვენ გვქონდა საუბარი „ბადაგონის“ ხელმძღვანელობასთან. იმ დღეს, როცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა კომპანიაში, მუშაობა ზუსტად 8 საათით შეფერხდა. ამის შემდეგ პროცესის განახლება შეიძლებოდა, თუმცა, როგორც დამფუძნებელმა გვითხრა, რამდენიმე დღე იყო საჭირო პროგრამის განახლებისთვის. ჩვენთვის, ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესსაქმიანობისთვის ნორმალური პირობები შეექმნას და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებამ არ შეაფერხოს სამუშაო პროცესი, – ირაკლი ლექვინაძე.

**კომერსანტი**

## ბათუმში საცხოვრებელ სახლში გაზქურა აფეთქდა



მ.აბაშიძის 60 ნომერში, საცხოვრებელ სახლში გაზქურა აფეთქდა. ინფორმაციას ამის შესახებ „აჭარა ტვ.“ ავრცელებს.

გაზქურის აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, ოჯახის წევრებმა სახანძრო სამაშველო ბრიგადა უსაფრთხოების მიზნით გამოიძახეს.

მეზობლები ყვებიან, რომ აფეთქების დროს სახლში მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა, ამიტომ რისკების თავიდან ასაცილებლად, სასწრაფო და სახანძრო ბრიგადებს დაურეკეს, რომლებიც ადგილზე მალევე მივიდნენ. ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სახიფათო არაფერია.

## ნოდარ გუგეშაშვილის მეგობარი გამოკითხეს




სამართალდამცველებმა ნოდარ გუგეშაშვილის მეგობარი გამოკითხეს. ბიძინა ალადაშვილის თქმით, გამომძიებლებს შეკითხვები ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა გუგეშაშვილს კონფლიქტი წლების წინ, სტუდენტობის დროს, შესაბამისად გამოძიება, სავარაუდოდ, ამ ვერსიაზეც მუშაობს.

როგორც ალადაშვილი ამბობს, მისთვის უცნობია, ჰქონდა თუ არა კონფლიქტი ნოდარ გუგეშაშვილს ან საერთოდ ვისთან შეიძლება ჰქონოდა მას რაიმე სახის კონფლიქტი.

გარდა ამისა, ბიძინა ალადაშვილი ამბობს, რომ გამომძიებლებს აინტერესებდათ, ჰქონდა თუ არა იარაღი სახლში გუგეშაშვილს, რასთან დაკავშირებითაც, როგორც თავად ამბობს, მას ინფორმაცია არ აქვს.

განცხადება გააკეთა დოდო გუგეშაშვილის ძმამაც. თემურ გუგეშაშვილი ამბობს, რომ მისი და, გამომძიებლებს, სავარაუდოდ, დაუსახელებს მკვლელის ვინაობას. მისივე თქმით, ოჯახისთვის თავდასხმის შესახებ ვერსიები უცნობია.

ნოდარ გუგეშაშვილს ხუთშაბათს, საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ.

## საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ დიდი ოდენობით ოქროს საიუველირო ნაკეთობები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის ე.ჯ.-ს, ფიზიკური დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა 694.89 გრამი) აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 44,994.10 ლარი შეადგინა. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს გადაეცა.

## სამსონ ბრეგვაძე: „გელა ნიკოლაიშვილი დოდო გუგეშაშვილის მეგობარია და დაკითხვის პროცესში დოდოს მოთხოვნით ჩაერთო“




– დოდო გუგეშაშვილის დაკითხვის პროცესში ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი თავად დოდო გუგეშაშვილის მოთხოვნით ჩაერთო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს გუგეშაშვილის მეგობარმა სამსონ ბრეგვაძემ განუცხადა. მისივე განმარტებით, გუგეშაშვილი გამოძიებასთან ითანამშრომლებს.

– დოდო გუგეშაშვილი უკეთესადაა. ზეგისთვის ვაპირებთ შვილის უბედურების შესახებ გავაგებინოთ. ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი მეგობარია და თვითონ დაუძახა. დაკითხვის დეტალები ჩემთვის უცნობია, თუმცა, რაც იცის, იმას იტყვის. გამოძიებასთან ითანამშრომლებს, – განაცხადა სამსონ ბრეგვაძემ.

## ბობოყვათში პოლიციის ეკიპაჟი ავტომობილს დაეჯახა – დაშავებულია 3 ადამიანი



ბობოყვათის ცენტრალურ გზაზე პოლიციის ეკიპაჟი მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს თვითმხილველებმა განუცხადეს, პოლიციის ეკიპაჟი წინ მიმავალი ავტომანქანის გადასწრებას ცდილობდა, რა დროსაც შემხვედრ ავტომობილს დაეჯახა.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში აზუსტებს.

## სოფელ შემოქმედის მარკეტში ხელყუმბარა შეაგდეს



დაუდასტურებელი ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის ცენტრში არსებულ მარკეტში, სავარაუდოდ, ხელყუმბარა შეაგდეს.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ინციდენტი 12 თებერვალს, დილით მოხდა, თუმცა ღამის განმავლობაში სროლების ხმა ისმოდა.

## ბებიის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა




თბილისის საქალაქო სასამართლომ ბებიის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებული მინდია ხ. დამნაშავედ ცნო და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 13 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაშია ნათქვამი.

– სახელმწიფო ბრალდება მინდია ხ.-ს, ოჯახური დანაშაულის ჩადენას, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის განზრახ მკვლელობას ედავებოდა, ჩადენილი უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ. მასვე ბრალად ედებოდა დაკავების ადგილიდან გადაყვანისას გაქცევის მცდელობა.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 15 მაისს, დილმის მასივში, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკებისას, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცემა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბებია. მინდია ხ.-მ ხელები ყელზე მოუჭირა ნ. ნ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. 2017 წლის 17 მაისს, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა. სხდომის შემდეგ, მინდია ხ.-მ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის ეზოდან გაქცევა სცადა, რა დროსაც იგი დააკავეს. ღია სასამართლო სხდომებზე ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ.

სასამართლომ სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, წარდგენილი ბრალდება (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფისა) გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-108-ე მუხლზე (განზრახ მკვლელობა) და გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო დაკავების ადგილიდან გადაყვანისას გაქცევის მცდელობის ნაწილშიც და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

## ტერორიზმის საქმეზე დაკავებულებს წინასწარი პატიმრობის ვადა ამოეწურათ



ტერორიზმის საქმეზე დაკავებულ 7 პირს წინასწარი პატიმრობის 2-თვიანი ვადა ამოეწურა.

პროკურატურა საქმის გამოძიებისთვის კიდევ ერთ თვეს და დაკავებული პირების პატიმრობაში დატოვებას ითხოვს.

დაკავებულების ადვოკატები კი აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას მოითხოვენ.

## გორის რაიონში ვაშლის ნერგები მოიპარეს



გორის რაიონში ვაშლის ნერგები მოიპარეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ქვემო არცევში მოხდა. ვაშლის ნერგები ბაღიდან, ღამის საათებში მოიპარეს.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო 177 მუხლით იძიებს, რაც ქურდობას გულისხმობს.

## ზუგდიდში „ვითიბი ბანკის“ კარი ჩაამსხვრიეს




ზუგდიდში, გამსახურდიას გამზირზე „ვითიბი ბანკის“ კარი ჩაამსხვრიეს. შემთხვევა 12 თებერვალს გვიან ღამით მოხდა. ბანკის თანამშრომლების განცხადებით, პირველადი ინფორმაციით თანხა წაღებული არაა და, სავარაუდოდ, ვიდეოკამერას აქვს დაფიქსირებული არასრულწლოვანი, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში შესასვლელ კარს ექაჩებოდა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19/177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

## რუსთავში საშაურმის თანამშრომელს თავს დაესხნენ



შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე მდებარე კვების ობიექტში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

როგორც „ნიუპოსტს“ გახარიას უწყებაში განუცხადეს, ბრალდებული პირი იდენტიფიცირებულია და მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

მესხიშვილის ქუჩაზე მდებარე საშაურმის თანამშრომელს თავს ღამის 2:00 საათზე დაესხნენ.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, უცნობი პირი საშაურმეში შევიდა და მომსახურე პერსონალს, 22 წლის მამაკაცს, თავში ქვა ჩაარტყა, რის შემდეგაც ადგილიდან მიიმალა.

ადგილზე საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

დაშავებული კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანეს, მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

## წითელ ხიდზე არადეკლარირებული მედიკამენტები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის, ა.მ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებული 10 000 ამპულა მედიკამენტი SCANDONEST აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 7.500 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# თურქეთი სირიაში ოპერაციას განაგრძობს



თურქეთი სირიაში ანტიტერორისტულ ოპერაციას განაგრძობს.

მხოლოდ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში თურქებმა 86 ქურთი ბოევიკი გაანადგურეს.

– სულ ანტიტერორისტულ ოპერაციის დაწყებიდან დღემდე განადგურებულია 1.227 ტერორისტი, – იტყობინება გენშტაბი.

ასეთი მასშტაბის ოპერაციისას დანაკარგები გარდუვალია. თურქეთმაც 30 ჯარისკაცი დაკარგა.

# ლავროვი აშშ-ს ემუქრება




რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ აშშ მოსკოვის მიმართ აშკარად მტრულ პოლიტიკას ეწევა. რუსეთის გარშემო ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა განათავსეს. ამას უკრაინისთვის ამერიკული ლეტალური იარაღის მიწოდებაც დაერთო.

– რასაკვირველია, აშშ-ს უფლება აქვს, თავისი იარაღი ვისაც უნდა იმას მიაწოდოს, მაგრამ კონტრმოქმედების უფლება ჩვენც გაგვაჩნია! – თქვა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მათი იარაღი ამერიკულზე ნაკლები არ არის და ის არ გამორიცხავს, რომ ეს იარაღი მსოფლიოს რიგ ცხელ წერტილში გამოჩნდეს.

– შესაძლოა, ეს იყოს სირია, შესაძლოა ნიკარაგუა, ან ლათინური ამერიკის რომელიმე სხვა სახელმწიფო, – ამბობს ლავროვი.

# ქსენია სობჩაკი: „პუტინს გარანტიები უნდა მივცეთ!“



აშშ-ში გამართულ ტრადიციულ ლოცვით საუზმეზე პრეზიდენტმა ტრამპმა ქსენია სობჩაკიც მიიწვია. ქალბატონმა ქსენიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პუტინის პოლიტიკა მთლიანად გაკოტრდა, ქვეყანა იზოლაციაში მოექცა, ლოკალურ ომებს ბოლო არ უჩანს. ამას სანქციებიც ერთვის. აქამდე პუტინი თავის პროპაგანდისტების მეშვეობით ხალხს ეუბნებოდა, რომ სირიაში გაიმარჯვა, დონბასშიც იმარჯვებს, დღეს თუ ხვალ უკრაინასაც დაშლის.

– გავიდა ოთხი წელი. უკრაინა არა თუ არ დაიშალა, პირიქით, სამხედრო თვალსაზრისით ბევრად უფრო ძლიერი ქვეყანა გახდა! ამიტომაც ამერიკელებმა ჯაველინები მიაწოდეს, – თქვა სობჩაკმა.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსების უმრავლესობა თავს მოტყუებულად გრძნობს. საზოგადოებაშიც დიდი აგრესიაა დაგროვილი. როდის მოხდება აფეთქება, არავინ იცის.

– დასავლეთმა უკვე დღეს უნდა დაიწყოს ზრუნვა საიმისოდ, რომ აფეთქება არ მოხდეს! აუცილებელია, პუტინს გარანტია მივცეთ, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში მის მიმართ დევნა არ განხორციელდება. ეს ერთ-ერთი საშუალებაა საიმისოდ, რომ პუტინის რეჟიმის დემონტაჟი მშვიდობიანად მოხდეს, – ამბობს სობჩაკი.

# რუმინეთში ოდესის შეერთებას ითხოვენ

რუმინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბესესკუმ განაცხადა, რომ მალე მისი მომხრეები პარლამენტში შეიტანენ კანონპროექტს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დენონსირების მოთხოვნით.

– ბესარაბია სსრკ-მ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის წყალობით შეიერთა! საბჭოთა კავშირი დაინგრა, ბალტიისპირეთმა დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მოლდოვის პრობლემა კი არ არის გადაწყვეტილი, – თქვა ბესესკუმ.




ამავე დროს გააქტიურდნენ რუმინეთის ექსტრემისტული ძალებიც, რომლებიც თავს ნაცისტური „რკინის გვარდიის“ მიმდევრებს უწოდებენ. ისინი მოითხოვენ, რომ რუმინეთს არა მხოლოდ მოლდოვა, არამედ ბუკოვინა და ოდესის მხარეც შეუერთდეს.

– ოდესა ანუ ტრანსნისტრია რუმინეთისაა! – ამტკიცებენ ისინი.

რუმინეთის მოსახლეობის 75% მოლდოვის შემოერთების წინააღმდეგია. ისინი თვლიან, რომ მოლდოვა პრობლემური სახელმწიფოა და მისი შემოერთება რუმინეთს კარგს არაფერს მოუტანს. რაც შეხება ლოზუნგებს ოდესის ან ჩერნოვცის მხარის შემოერთების შესახებ, ამას მოლდოვის მოსახლეობის მხოლოდ 4% ემხრობა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ამერიკელმა თვითნაკეთი რაკეტით გაფრენა ცადა

ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ უილმარის მცხოვრებმა მამაკაცმა ტრავმები მას შემდეგ მიიღო, როდესაც თვითნაკეთი რაკეტით აფრენა ცადა.

მამაკაცმა თვითმავალი ციგა შექმნა თხილამურების, ველოსიპედის ჩარ-



ჩოსა და მოტოციკლის გამონაბოლქვი სისტემის მილებისგან. ის ფიქრობდა, რომ ამ მოწყობილობას მოძრაობაში რეაქტიული გამწევით მოიყვანდა. საწვავად ანტიფრიზი იქნა გამოყენებული.

40 წლის გამომგონებელმა გამოსაცდელად საკუთარი ნამოღვაწარი სახლის სახურავზე აათრია, მასზე მოკალათდა და ძრავა აამუშავა. ციგა სახურავიდან ჩამოსრიალდა, ოთხი მეტრი იფრინა, ღობეს შეასკდა და თოვლში ჩაეფლო.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლებმა მამაკაცი ავტოფარეხისკენ მიმავალ გზაზე აღმოაჩინეს. ის მასზე ციგით ფეხების დახმარებით მისრიალებდა, რა დროსაც ტკივილისგან ყვიროდა და იგინებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ობამას წვერის სასწრაფოდ მოშვებას ურჩევენ



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ფოტოშოპით დამუშავებულმა სურათმა, რომელზეც ბარაკ ობამა წვერებითაა გამოსახული, სოციალური ქსელების მომხმარებლები აღაფრთოვანა და მათ პოლიტიკოსს თხოვნით მიმართეს, სასწრაფოდ მოუშვას წვერი.

ერთ-ერთმა ამერიკულმა პორტალმა რამდენიმე ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც წვერებით რამდენიმე ცნობილი პიროვნება გამოსახა, მათ შორის რეპერი ჯეი ზი და მოდელი ჯერემი მიქსი. მაგრამ ინტერნეტ-მომხმარებლებს ყველაზე მეტად სწორედ წვერებიანი ბარაკ ობამა მოეწონათ.

ინტერნეტ-მომხმარებლების დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ყოფილი პრეზიდენტი წვერებში ბრწყინვალედ გამოიყურება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

**მალამო ძვალ-სახსართა დაავადებების სამკურნალოდ**

მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს. ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

# პიონჩანში ქართველი გამოჩნდა — სოლოიანი 32-ე ადგილზე გავიდა

კორეის ქალაქ პიონჩანში გრძელდება ზამთრის 23-ე ოლიმპიადა, სადაც უკვე გამოვიდა ერთი ქართველი სპორტსმენი.

ბაკურიანელმა მოციგავემ გიორგი სოლოიანმა ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა დაასრულა და საბოლოოდ 32-ე ადგილზე გავიდა. შეჯიბრების დასკვნით დღეს გიორგიმ საციგაო ტრასის გავლას 49,008 წამი მოანდომა, სამივე დაშვებისთვის კი ჯამში 2.27,459 წუთი დასჭირდა.

დღით ადრე მოიპოვა პიონჩანგის საგზური, აქ კი რვა მეტოქეს აჯობა, რაც ურიგო შედეგი არ არის.

მოციგავეთა ფინალური ტურნირის დაწყებამდე სეოკ-ისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სამხრეთ კორეაში საქართველოს საელჩოს ხელმძღვანელები პიონჩანგისა და კანინის ოლიმპიურ სოფლებს ესტუმრნენ, მოინახულეს ჩვენი ოლიმპიელები და მათი მწვრთნელები, გაამხნევეს ისინი და დარჩენილ შეჯიბრებებში მაღალი ადგილების დაკავება უსურვეს.



მოციგავეთა ფინალურ ეტაპს დაესწრო და პრიზიორები დააჯილდოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა.

ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ავსტრიელი დავიდ გრეიხნერი, ვერცხლის მედალი მიიღო ამერიკელმა კრის მაზდერმა, ბრინჯაოსი — ბახის თანამემამულემ, იოჰანეს ლუდვიგმა.

კიდევ ერთმა გერმანელმა მოციგავემ, შეჯიბრების მთავარმა ფავორიტმა, ოლიმპიური თამაშების 3-გზის და მსოფლიოს 12-გზის ჩემპიონმა ფელიქს ლოხმა, რომელიც პირველი დღის შემდეგ ლიდერი იყო, ბოლო დაშვებისას მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ მხოლოდ მე-5 ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები ფინიშის ზონაში შეხვდნენ გიორგი სოლოიანს, ოლიმპიური დებიუტი მიულოცეს და წარმატებული სპორტული კარიერა უსურვეს.

**ლერი ხაბელოვი:**

– გიორგი ჯერ ახალგაზრდაა, 20 წლისაა და მისთვის ეს ოლიმპიადა გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალება იყო. ამდენი ტიტულიანი მოციგავის გვერდით გამოსვლა მას ბევრს შესძენს. გიორგიმ თამაშების დაწყებიდან რამდენიმე

კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჩვენი დელეგაციის თითოეული წევრი პროფესიონალურად და მაღალი პასუხისმგებლობით უდგება საქმეს:

– აქ, შორეულ კორეაში თქვენ წარმოადგენთ არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანას. ჩათვალეთ, რომ თითოეული თქვენგანი საქართველოს ელჩია ოლიმპიადაზე. მისასალმებელია, რომ ჩვენ ასეთი მეგობრული და შეკრული გუნდი გვყავს პიონჩანში.

ქართველთაგან მომდევნო სპორტსმენი პიონჩანში ნინო წიკლაური იქნება, რომელიც გიგანტური სლალომში გამოვა. წიკლაურს გუშინ უნდა ესპარეზა, მაგრამ ძლიერი ქარის გამო ასპარეზობა გიგანტურ სლალომში ქალებს შორის გადაიდო. 16 საათსა და 15 წუთზე უნდა ყოფილიყო პირველი ცდა და 19 საათსა და 45 წუთზე – მეორე, მაგრამ ორგანიზატორებმა სტარტი 15 თებერვლისთვის გადაიტანეს.

წიკლაურმა და ჩვენმა მეორე სამთო მოთხილამურემ, იასონ აბრამაშვილმა ოლიმპიურ ტრასებზე რამდენიმე საკონტროლო დაშვება შეასრულეს და მთავარი სტარტების წინ თავს კარგად გრძნობენ.

# ძიუდოისტების ოთხი მოპოვებული და ორი დაკარგული მედალი პარიზში

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა პარიზის გრან სლემი 4 მედლით დაასრულა. ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) და ბექა ღვინიაშვილმა ვერცხლის მედლები ირგუნეს, ხოლო ნუგზარ ტატალაშვილმა (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანმა (100 კგ) – ბრინჯაოები.

ოლიმპიური (2012) და ევროპის (2013) ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი პირველ ნომრად იყო განთესილი, ამიტომ საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო და კანადელი ანტუან ბუჩარი წუთნახევარში ჩამოიშორა. მეორე მეტოქეს – სომეხ ფერდინანდ კარაპეტიანს შავდათუაშვილმა ვაზარით აჯობა. მეოთხედფინალში გერმანელ იგორ ვანდტკეს სამწუთნახევარში შეუსრულა ორი ვაზარი. ნახევარფინალში აზიის ორგზის ჩემპიონი, სამხრეთკორეელი ჩანგრიმ ანი პირველსავე წუთზე გააკრა ტატამს ბეჭებით. საჩემპიონო შეხვედრაში კი კოსოვოელ აკილ გჯაკოვას დაუპირისპირდა, ვაზარით წააგო და მეორე ადგილთან ერთად 700 სარეიტინგო ქულას დასჯერდა.

ბექა ღვინიაშვილს უმაღლეს ტიტულამდე იაპონელი სოიჩირო მუკაის ძლევა დააკლდა. ფინალი მხოლოდ 15 წამს გაგრძელდა და მუკაის მიერ შესრულებული იპონით დაგვირგვინდა.

არადა, დილის პროგრამაში ღვინიაშვილმა შთამბეჭდავად იჭიდავა. აზერბაიჯანელი აბდულჰაგ რასულუ ორწუთნახევარში შებოჭა. სამხრეთკორეელ ჯაეიონგ ლის წუთნახევარი აკმარა სუფთა გდებისთვის. მეოთხედფინალში გერმანელ ედუარდ ტრიპელსაც ვადაზე ადრე სძლია, ისევ ეფექტური გდებით. ნახევარფინალში კი იაპონელი კენტა ნაგასავა დაანარცხა ბეჭებით ტატამს.

გულდასაწყვეტი ფინიშის მიუხედავად, პარიზის გრან სლემი ბექა ღვინიაშვილისთვის მაინც წარმატებულია, რადგან ვერცხლის პრიზიორობით გამომუშავებული 700 ქულით 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს რეიტინგის ლიდერის პოზიცია გაინაღდა.

ევროპის 3-გზის პრიზიორი ნუგზარ ტატალაშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ტურში შემავალ ტურნირებზე საპრიზო სამეულში ბოლოს 2016 წლის მაისში მოხვდა. მაშინ 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. შარშან ერთი წონით მაღლა – 81 კილოგრამში აიწია და შედარებით დაბალი რანგის საერთაშორისო ტურნირების პოდიუმზეც ავიდა. ამ რანგის შეჯიბრებაზე კი მედალს პირველად დაეუფლა.

ტატალაშვილმა გრან სლემი ბრაზილიელი ლეანდრო გილეიროს 3 წუთში ძლევით გახსნა. შემდეგ იაპონელ ტაკეში სასაკის დაუპირისპირდა და მეორე დამატებულ წუთზე დასცა ბეჭებზე. არგენტინელი ემანუელ ლუცენტიც „ოქროს დროში" დაამარცხა ვაზარით. ოქრო-ვერცხლისკენ მიმავალი გზა მეოთხედფინალში ჩაეკეტა – ჩეხ იარომირ მუსილთან შეხვედრის მეორე წუთზე ვაზარიზე დაეცა და შებოჭვაზე მოჰყვა.




რეპეშაჟის ნახევარფინალში ტატალაშვილმა ბულგარელ ივაილო ივანოვს მე-9 წუთზე შეუსრულა გადამწყვეტი ვაზარი. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი ასევე დამატებით დროში აღებული ვაზარით სძლია ოლიმპიურ და მსოფლიოს 2-გზის პრიზიორს – კანადელ ანტუან ვალუა-ფორტიეს.

ვარლამ ლიპარტელიანი კი ფინალურ ბლოკში ერთი წაგებით შევიდა, რომელიც მეოთხედფინალში, ფრანგ სირილ მარესთან იწვნია. შესაბამისად, ოქრო-ვერცხლის და გალიდერების შანსიც დილის პროგრამაშივე დაკარგა.

სირილ მარესთან შეხვედრამდე ლიპარტელიანმა 2 მეტოქე ჩამოიცილა. შეჯიბრება ამერიკელი ილ ლა სმიტის ვაზარით ძლევით გახსნა. ბელარუს დანიელ მუკეტეს კი 3 წუთში გაუსწორდა სუფთა გდებით. რეპეშაჟის ნახევარფინალში ლიპომ შვედი მარტინ პაჩეკი ერთ წუთში გააკრა ტატამს. „ბრინჯაოს ფინალში" კი ხორვატი ზლატკო კუმრიჩი შებოჭა.

პარიზის გრან სლემის პოდიუმზე ვარლამ ლიპარტელიანი მეექვსედ ავიდა. აქამდე მის ანგარიშზე 2 ოქრო (2013 და 2015), ვერცხლი (2014) და 2 ბრინჯაო (2016 და 2017) იყო.

ქართველ ძიუდოისტებს კიდევ 2 მედლის მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ...

ამირან პაპინაშვილს (60 კგ) ფრანგული გრან სლემის პრიზიორობამდე ერთი გამარჯვება დააკლდა. ქართველმა მსუბუქწონოსანმა, რომელიც მიმდინარე შეჯიბრებაზე პირველ ნომრად იყო განთესილი, მხოლოდ ნახევარფინალამდე იყოჩაღა.

პირველი მეტოქე – გერმანელი მორიც პლაფკი მეოთხე წუთზე ვაზარიზე დასცა და ილეთს შებოჭვა მიაყოლა. მეოთხედფინალში ფრანგ რიშარ ვერნესთან შეხვედრის დასაწყისშივე ვაზარით დაწინაურდა. შემდეგ თავადაც ვაზარიზე დავარდა. საფინალო გონგამდე 36 წამით ადრე კი ბრუნით მეორე ვაზარი მიითვალა, რაც ავტომატურად იპონს ნიშნავდა. ნახევარფინალში პაპინაშვილი იაპონელ ტორუ შიშიმეს დაუპირისპირდა და მეოთხე წუთზე, სახიფათოდ შეტევისთვის მსაჯისგან ჰანსოკუ-მაკე მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ რეპეშაჟის ფინალში 29 წლის ქართველი ძიუდოისტი ფრანგ სედრიკ რევოლს დისკვალიფიკაციის გამო ველარ დაეჭიდებოდა.

გრან სლემზე ქართველი მძიმეწონოსანი გიორგი თუშიშვილი პირველ ნომრად იყო განთესილი და ნახევარფინალამდე მართლაც დამაჯერებლად იფავორიტა. ბელარუსი ულადისლაუ ციარპინსკი ეფექტური გდებით ვაზარიზე დასცა და უმალ შებოჭა. თავისზე მინიმუმ 20 კილოგრამით მძიმე ალჟირელი მუჰამედ ამინე ტაიები კი შეხვედრის დაწყებიდან ხუთიოდ წამში წამოიკიდა კისრულით და ბეჭებზე დაანარცხა. ნახევარფინალში თუშიშვილი იაპონელ კოკორო კაგეურასთან შეხვედრისას ჰანსოკუ-მაკეთი დასაჯეს. მსაჯებმა ჩათვალეს, რომ ერთ-ერთ საჭიდაო ეპიზოდში მან მეტოქეს სახეში მუხლი განზრახ მიარტყა და მოხსნეს. რეპეშაჟის ფინალში გურამ თუშიშვილი ბელარუს ალექსანდრ ვახავიაკს უნდა დასჭიდებოდა...

მედლამდე ცოტა დააკლდა ლუხიმ ჩხვიმიანს: 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამეულს მიღმა სედრიკ რევოლთან რეპეშაჟის ნახევარფინალში განცდილი მარცხის გამო დარჩა. ფრანგმა ვაზარით მოიგო. ძირითად ბადეში ჩხვიმიანმა 2 შეხვედრა ჩაატარა. ესპანელი ხუაკინ გომისი ვაზარით ჩამოიშორა. მეოთხედფინალში კი, ბრაზილიელ ფელიპე პელიმთან, უილეთო შეხვედრაში, მეოთხე დამატებულ წუთზე, შიდოების ლიმიტი ამოეწურა.

საქართველოს სახელით ტატამზე ევროპის 2016 წლის ჩემპიონი და მსოფლიოს მოქმედი ბრინჯაოს პრიზიორი ვაჟა მარგველაშვილიც (66 კგ) გავიდა. შარშან ის პარიზის გრან სლემზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ამჯერად შეჯიბრებაზე მეორე ნომრად იყო განთესილი და ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ საწყის ეტაპზევე დამარცხდა – ალჟირელ ჰოუდ ზურდანისთან შეხვედრის მესამე წუთზე ბეჭებზე დავარდა.

ზებედა რეხვიაშვილი (81 კგ) პარიზულ ტატამზე ერთადერთხელ გავიდა და ებრაელ საგი მუკისთან შეხვედრაში, ერთ წუთში ორჯერ დავარდა ვაზარიზე. უშანგი მარგიანი (90 კგ) და ლევან მატიაშვილიც (+100 კგ) თითო ბრძოლით გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ლაშა ტაველურმა (100 კგ) გრან სლემი სლოვაკი მიროსლავ ძურის ვაზარით ძლევით გახსნა. შემდეგ კი პირველ ნომრად განთესილ მიხაელ კორელს დაუპირისპირდა და ვაზარითვე დამარცხდა.

# შედეგები

**11 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჰადერსფილდი-ბორნმუთი ............ 4:1
ნიუკასლი-მანჩესტერი .................. 1:0
საუთჰემპტონი-ლივერპული .......... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 23 | 3 | 1 | 79-20 | 72 |
| 2.მანჩესტერი | 27 | 17 | 5 | 5 | 51-19 | 56 |
| 3.ლივერპული | 27 | 15 | 9 | 3 | 61-31 | 54 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 15 | 7 | 5 | 52-24 | 52 |
| 5.ჩელსი | 26 | 15 | 5 | 6 | 46-23 | 50 |
| 6.არსენალი | 27 | 13 | 6 | 8 | 51-36 | 45 |
| 7.ბარნლი | 27 | 9 | 9 | 9 | 21-24 | 36 |
| 8.ლესტერი | 27 | 9 | 8 | 10 | 39-40 | 35 |
| 9.ევერტონი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-46 | 34 |
| 10.ბორნმუთი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-41 | 31 |
| 11.უოტფორდი | 27 | 8 | 6 | 13 | 37-47 | 30 |
| 12.ვესტ ჰემი | 27 | 7 | 9 | 11 | 34-46 | 30 |
| 13.ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 25-36 | 28 |
| 14.ბრაიტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 22-36 | 28 |
| 15.კრ.პალასი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-42 | 27 |
| 16.სუონსი | 27 | 7 | 6 | 14 | 20-37 | 27 |
| 17.ჰადერსფილდი | 27 | 7 | 6 | 14 | 23-47 | 27 |
| 18.საუთჰემპტონი | 27 | 5 | 11 | 11 | 28-40 | 26 |
| 19.სტოკი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-53 | 25 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 3 | 11 | 12 | 21-37 | 20 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ბირმინგემი ................ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ხირონა ........................... 1:0
ბარსელონა-ხეტაფე ....................... 0:0
სელტა-ესპანიოლი ........................ 2:2
ვალენსია-ლევანტე ....................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 18 | 5 | 0 | 60-11 | 59 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 15 | 7 | 1 | 34-9 | 52 |
| 3.ვალენსია | 23 | 13 | 4 | 6 | 45-27 | 43 |
| 4.რეალი | 22 | 12 | 6 | 4 | 50-23 | 42 |
| 5.ვილიარეალი | 23 | 11 | 4 | 8 | 34-28 | 37 |
| 6.სევილია | 23 | 11 | 3 | 9 | 29-34 | 36 |
| 7.ეიბარი | 23 | 10 | 5 | 8 | 32-34 | 35 |
| 8.სელტა | 23 | 9 | 5 | 9 | 41-34 | 32 |
| 9.ხირონა | 23 | 8 | 7 | 8 | 31-30 | 31 |
| 10.ხეტაფე | 23 | 7 | 9 | 7 | 26-21 | 30 |
| 11.ბეტისი | 22 | 9 | 3 | 10 | 37-45 | 30 |
| 12.ლეგანესი | 22 | 8 | 5 | 9 | 20-22 | 29 |
| 13.ბილბაო | 23 | 6 | 10 | 7 | 24-25 | 28 |
| 14.სოსიედადი | 23 | 7 | 5 | 11 | 43-45 | 26 |
| 15.ესპანიოლი | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 16.ალავესი | 23 | 8 | 1 | 14 | 21-33 | 25 |
| 17.ლევანტე | 23 | 3 | 11 | 9 | 21-35 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 23 | 5 | 3 | 15 | 17-50 | 18 |
| 19.დეპორტივო | 22 | 4 | 5 | 13 | 24-51 | 17 |
| 20.მალაგა | 23 | 3 | 4 | 16 | 14-36 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-ხიმნასტიკი .................... 0:1
უესკა-ლეონესა .............................. 1:0
რაიო-სევილია ბ ............................. 2:0
რეუსი-ლორკა ................................. 3:0
ტენერიფე-კორდობა ....................... 5:1
სარაგოსა-ლუგო ............................ 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-გლადბახი ................. 1:0
ვერდერი-ვოლფსბურგი ................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 18 | 2 | 2 | 53-17 | 56 |
| 2.ლაიპციგი | 22 | 11 | 5 | 6 | 35-29 | 38 |
| 3.დორტმუნდი | 22 | 10 | 7 | 5 | 47-29 | 37 |
| 4.აინტრახტი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-25 | 36 |
| 5.ლევერკუზენი | 22 | 9 | 8 | 5 | 41-29 | 35 |
| 6.შალკე | 22 | 9 | 7 | 6 | 34-29 | 34 |
| 7.აუგსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 32-28 | 31 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 7 | 7 | 36-35 | 31 |
| 9.ჰანოვერი | 22 | 8 | 7 | 7 | 31-32 | 31 |
| 10.გლადბახი | 22 | 9 | 4 | 9 | 30-34 | 31 |
| 11.ჰერტა | 22 | 7 | 9 | 6 | 30-28 | 30 |
| 12.ფრაიბურგი | 22 | 5 | 10 | 7 | 23-37 | 25 |
| 13.ვოლფსბურგი | 22 | 4 | 12 | 6 | 25-28 | 24 |
| 14.შტუტგარტი | 22 | 7 | 3 | 12 | 18-27 | 24 |
| 15.ვერდერი | 22 | 5 | 8 | 9 | 21-27 | 23 |
| 16.მაინცი | 22 | 5 | 5 | 12 | 26-41 | 20 |
| 17.ჰამბურგი | 22 | 4 | 5 | 13 | 17-32 | 17 |
| 18.კიოლნი | 22 | 3 | 4 | 15 | 19-41 | 13 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფიურტი-დინამო ........................... 1:0
ზანდჰაუზენი-ბრაუნშვაიგი .......... 0:0
აუე-ინგოლშტადი ........................ 0:0

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-კალიარი ...................... 0:0
ინტერი-ბოლონია ......................... 2:1
კიევო-ჯენოა ................................ 0:1
სამპდორია-ვერონა ...................... 2:0
ტორინო-უდინეზე ......................... 2:0
რომა-ბენევენტო .......................... 5:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 20 | 3 | 1 | 54-15 | 63 |
| 2.იუვენტუსი | 24 | 20 | 2 | 2 | 61-15 | 62 |
| 3.ინტერი | 24 | 13 | 9 | 2 | 40-19 | 48 |
| 4.რომა | 24 | 14 | 5 | 5 | 38-19 | 47 |
| 5.ლაციო | 24 | 14 | 4 | 6 | 59-33 | 46 |
| 6.სამპდორია | 24 | 12 | 5 | 7 | 44-32 | 41 |
| 7.მილანი | 24 | 11 | 5 | 8 | 34-30 | 38 |
| 8.ატალანტა | 24 | 10 | 7 | 7 | 36-28 | 37 |
| 9.ტორინო | 24 | 8 | 12 | 4 | 35-29 | 36 |
| 10.უდინეზე | 24 | 10 | 3 | 11 | 36-34 | 33 |
| 11.ფიორენტინა | 24 | 8 | 7 | 9 | 33-31 | 31 |
| 12.ჯენოა | 24 | 7 | 6 | 11 | 19-25 | 27 |
| 13.ბოლონია | 24 | 8 | 3 | 13 | 29-37 | 27 |
| 14.კალიარი | 24 | 7 | 4 | 13 | 22-34 | 25 |
| 15.სასუოლო | 24 | 6 | 5 | 13 | 14-41 | 23 |
| 16.კიევო | 24 | 5 | 7 | 12 | 21-41 | 22 |
| 17.კროტონე | 24 | 5 | 6 | 13 | 19-41 | 21 |
| 18.სპალი | 24 | 3 | 8 | 13 | 23-46 | 17 |
| 19.ვერონა | 24 | 4 | 4 | 16 | 22-48 | 16 |
| 20.ბენევენტო | 24 | 2 | 1 | 21 | 15-56 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

პარმა-პერუჯა ................................. 1:1
ჩიტადელა-ნოვარა ......................... 1:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტრასბური-ტრუა .......................... 2:1
ნანტი-ლილი .................................. 2:2
ლიონი-რენი .................................. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 21 | 2 | 2 | 76-17 | 65 |
| 2.მონაკო | 25 | 16 | 5 | 4 | 60-26 | 53 |
| 3.მარსელი | 25 | 15 | 7 | 3 | 55-29 | 52 |
| 4.ლიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 54-30 | 48 |
| 5.ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 26-26 | 38 |
| 6.მონპელიე | 25 | 9 | 10 | 6 | 23-20 | 37 |
| 7.ბორდო | 25 | 10 | 5 | 10 | 32-34 | 35 |
| 8.რენი | 25 | 10 | 4 | 11 | 30-33 | 34 |
| 9.ნიცა | 25 | 10 | 4 | 11 | 31-37 | 34 |
| 10.გენგამი | 25 | 9 | 6 | 10 | 25-32 | 33 |
| 11.კაენი | 25 | 9 | 4 | 12 | 18-28 | 31 |
| 12.დიჟონი | 24 | 9 | 4 | 11 | 36-48 | 31 |
| 13.სტრასბური | 25 | 8 | 6 | 11 | 30-42 | 30 |
| 14.სტ.ეტიენი | 25 | 8 | 6 | 11 | 26-40 | 30 |
| 15.ტულუზა | 25 | 7 | 5 | 13 | 22-33 | 26 |
| 16.ლილი | 25 | 7 | 5 | 13 | 23-39 | 26 |
| 17.ამიენი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-30 | 25 |
| 18.ანჟე | 25 | 5 | 10 | 10 | 27-38 | 25 |
| 19.ტრუა | 24 | 7 | 3 | 14 | 23-34 | 24 |
| 20.მეცი | 25 | 5 | 3 | 17 | 23-46 | 18 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

აიაქსი-ტვენტე ............................... 2:1
ვიტესი-ფეინოორდი ....................... 3:1

*ვიტესის პირველი გოლი გურამ კაშიმ გაიტანა*

ექსელსიორი-ბრედა ...................... 0:0
გრონინგენი-დენ ჰააგი ................. 0:0

**პორტუგალია. პრიმერა ლიგა**

ბელენენსეში-ავიში ........................ 2:5
შავიში-პორტუ ............................... 0:4
სპორტინგი-ფეირენშე .................... 2:0
ბოავიშტა-გიმარაეში ..................... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლუცერნი ................. 1:2
ლოზანა-იანგ ბოიზი ...................... 1:4
სტ.გალენი-ციურიხი ....................... 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-რაპიდი ............................. 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბევერენი-ბრიუგე .......................... 1:1
სტანდარდი-მუსკრონი ................... 4:3
შარლერუა-ლოკერენი .................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ლევადიაკოსი ................. 1:1
აეკი-ასტერასი ................................ 1:0
პანეთოლიკოსი-პლატანიასი ......... 3:0
ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი .......... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ბურსა ............................ 1:0
ქაისერი-სივასი ............................. 1:1
ალანია-ქონია ............................... 1:2
ბაშაქშეჰირი-ფენერბახჩე .............. 0:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-კორონა ............................. 0:3

*კორონას პირველი გოლი ნიკა კაჭარავამ გაიტანა*

არკა-ლეხი .................................... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ჰელსინბორგი ................... 6:1
სონდერიისკე-ნორდსიელანდი ...... 2:1
ლუნგბიუ-ბრონდბიუ ..................... 1:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მშიერმა ვეფხვებმა მამაკაცს ხელები მოაგლიჯეს



გვატემალელი ჩიპრიანო ალვარესი შეეცადა გალიაში მჯდომი 13 ვეფხვისთვის საკვები მიეცა და შედეგად ორივე ხელი დაკარგა.

ყველაფერი თვითმხილველთა თვალწინ მოხდა. ცხოველების თავდასხმისას ადგილზე მყოფები შეეცადნენ ალვარესი გადაერჩინათ და მტაცებლებს ქვები და ჯოხები დაუშინეს. დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმების დასკვნით, მისთვის ხელების შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ამ დროისთვის ალვარესის მდგომარეობა სტაბილურია, მიუხედავად დიდი ოდენობით სისხლის დაკარგვისა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ვეფხვები ადგილობრივ ცირკს ეკუთვნოდა, ხოლო დაშავებული მამაკაცი საგანგებოდ დაიქირავეს მათ მოსავლელად.

გვატემალის ხელისუფლებამ კი იმის გამოძიება დაიწყო, თუ როგორ პირობებში იმყოფებოდნენ ცხოველები.

# მძინარე ზღვის ლომმა ბელიანი თეთრი დათვი შეაშინა



ტურისტები, რომლებიც იახტით კუნძულ შპიცბერგენის რაიონში სეირნობდნენ, თეთრი დათვის, რომელსაც თან ბელი ახლდა, და ზღვის ლომის დაპირისპირების თვითმხილველები გახდნენ.

ვიდეორგოლში, რომელიც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო, ჩანს, რომ დიდი თეთრი დათვი, რომელსაც უკან პატარა ბელი მიჰყვება, ფრთხილად ათვალიერებს მძინარე ზღვის ლომს. ბოლოს ის გაბედავს და ცხოველს თათით შეეხება, მაგრამ როგორც კი გაღვიძებული ცხოველის რეაქციას დაინახავს, იმ ადგილს ბელთან ერთად საჩქაროდ გაეცლება.

ნორვეგიელი ბიოლოგის იონ აარსის თქმით, როგორც ვიდეოდან ჩანს, მტაცებელი საკმაოდ დაუძლურებულია და ასეთ მდგომარეობაში მას ზღვის ლომთან შებრძოლება კარგს არაფერს მოუტანდა და სწორედ ამიტომ, როდესაც შენიშნა, რომ საქმე ძლიერ ცხოველთან ჰქონდა, თავს გაქცევით უშველა.

# პრეზერვატივების თავხედური ქურდობა ვიდეოზე გადაიღეს



ჩეხეთში ორმა უცნობმა პირმა სუპერმარკეტი გაქურდა, საიდანაც 15,5 ათასი კრონის ღირებულების პრეზერვატივები და საპოხი გაიტანეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ჩეხეთის ქალაქ გრადეც-კრალოვეში მოხდა. უცნობმა გოგონამ და ყმაწვილმა ნაქურდალი სპორტულ ჩანთაში ჩააწყვეს და სალაროს გვერდის ავლით მაღაზიიდან გავიდნენ. ამ დროისთვის პოლიცია ბოროტმოქმედებს ეძებს. ქურდობის პროცესი სათვალთვალო ვიდეოკამერამ გადაიღო. მასზე ჩანს, რომ ეჭვმიტანილები გარეგნობით დაახლოებით 25 წლის არიან, ხოლო გოგონას წითელი ფერის თმები აქვს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქურდებმა 139 შეკვრა პრეზერვატივის და 21 შეკვრა ინტიმური საპოხის გატანა შეძლეს.

# მსოფლიოში ყველაზე მაგარი ჯინი შექმნეს



შოტლანდიურმა კომპანია თწინ ღივერ-მა მსოფლიოში ყველაზე მაგარი ჯინი შექმნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

77-გრადუსიანი სასმელი, სახელწოდებით Naked Gun Uncut-ი, რომელსაც კომპანიის ალკოჰოლური სასმელების საწარმო უშვებს, შეზღუდული რაოდენობის 101 ბოთლი დამზადდა. სასმელი ჯინის ფესტივალზე იქნა წარდგენილი.

მისი შემქმნელების თქმით, სასმელს, მიუხედავად მისი სიმაგრისა, კაკლის კრემის არომატი აქვს და მოტკბო გემო.

— როდესაც ჩვენმა მთავარმა დეგუსტატორმა ლიამ პენიკუკმა ჯინი წარმოების პროცესში გასინჯა, მან განაცხადა, რომ სასმელი მეტისმეტად კარგია იმისთვის, რომ ის სხვებს არ გაასინჯონ, — განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

# ბოროტი ბაბუის გამო, მოშიმშილე იაპონელი გოგონა 16 კილოგრამს იწონის

იაპონელმა გოგონამ ტვიტერში გამოაქვეყნა ინფორმაცია ნათესავზე, რომელიც მას იქამდე აშიმშილებდა, სანამ მისმა წონამ 16 კილოგრამს არ მიაღწია.

მისი თქმით, 10 წლის წინ მასზე ზრუნვა დაეკისრა მის ბაბუას. ის მას ჭამას უკრძალავდა, ხოლო თუ დაინახავდა, რომ ჭამდა, მუცელში ურტყამდა, აიძულებდა, მიღებული საკვები პირიდან გადმოეგდო, ან ამოეღებინა. ამ ყოველივეს შედეგად, ის უკიდურესად გამოიფიტა და საავადმყოფოში მოხვდა. სპეციალისტების თქმით, გოგონა სიკვდილს 10 წუთით ადრე გადაარჩინეს.

საკუთარი სიტყვების დასტურად გოგონამ ტვიტერში გამოაქვეყნა სელფი, რომელიც იმ დროსაა გადაღებული, როდესაც ის 16,8 კილოგრამს იწონიდა. მან ასევე გამოაქვეყნა საკუთარი ფოტოსურათი, რომელიც საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგაა გადაღებული და ფოტოზე მის სხეულზე ცემის ნაკვალევი ჩანს.

16,8 კილოგრამი წონა ნორმალურად ითვლება ხუთი წლის ბავშვისთვის. ექვსი წლის ასაკის გოგონების უმრავლესობის წონა 18 კილოგრამს შეადგენს, ხოლო თექვსმეტი წლის გოგონას საშუალო წონად 47 კილოგრამი ითვლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

*სპორტი*

# შენგელიამ შერმადინს მოუგო, მარკოიშვილი ტრავმირებულია



ესპანეთის ჩემპიონატში ქართული დერბი შედგა და ერთ გუნდში თორნიკე შენგელია იყო საუკეთესო, ხოლო მეორეში — გიორგი შერმადინი. ეს ამბავი მე-20 ტურში მოხდა, როდესაც ბასკონიამ უნიკახას უმასპინძლა და თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ, საბოლოოდ დამაჯერებლად — 96:78 დაამარცხა.

ორივე გუნდს 19 ტურის შემდეგ 12-12 მოგება ჰქონდა და ცხრილში ლიდერებთან ახლოს, გვერდიგვერდ იყვნენ. მატჩი ძალიან საინტერესოდ წარიმართა, თუმცა პირველი ნახევარი დაძაბულობით მეორეს ჯობდა. დიდ შესვენებაზე მალაგელები 38:36 იგებდნენ, რაც უპირველესად შერმადინის დამსახურება გახლდათ. ქართველი ცენტრი სტუმართა შორის გამორჩეული იყო და საბოლოოდ უნიკახაში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 24 წუთი გაატარა. გიორგიმ 5-დან 4 ორქულიანი და 8-დან 8 საჯარიმო ჩააგო, 16 ქულა დააგროვა და ამას 2 მოხსნა, 1 პასი და ჩაჭრა მოაყოლა. ქართველი ცენტრის სარგებლიანობის კოეფიციენტი მალაგელთაგან საუკეთესო — 23 გახლდათ.

გადავინაცვლოთ გამარჯვებულ ბასკონიელთა ბანაკში, სადაც საუკეთესო ასევე ქართველი, ვიტორიული კლუბის კაპიტანი, თორნიკე შენგელია გახლდათ. თოკოს სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია, თუმცა შედეგიანად ჩაერთო თამაშში და მოედანზე 28 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა 9-დან 6 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შენგელიას მონაგარმა 21 ქულა, 9 მოხსნა და 2 პასი შეადგინა. მისი სარგებლიანობის ინდექსმა კი 28-ს უწია, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა, მანუჩარ მარკოიშვილმა ისევ ვერ ითამაშა. მისმა რეჯიო ემილიამ იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი სტუმრად, კაპო დორლანდოსთან გამართა და 81:70 გაიმარჯვა, თუმცა ქართველი ფორვარდი სიცილიაში გუნდთან ერთად არ იმყოფებოდა. მიზეზი მარცხენა მუხლია, რომლის ტკივილის გამოც ქართველმა უკანახაზელმა იტალიის ჩემპიონატის წინა, 4 თებერვალს გამართული მატჩი სასარი დინამოსთან გამოტოვა, თუმცა შემდეგ ევროთასზე ითამაშა და ახლა ტკივილმა თავი ისევ შეახსენა.

ზუსტად 10 დღეში საქართველოს ეროვნული ნაკრები ავსტრიაში ჩავა, სადაც 23 თებერვალს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში შეხვდება. წუხანდელი მატჩის გამოტოვების შემდეგ, მანუჩარის ავსტრიასთან თამაში დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

გოგა ბითაძის გუნდმა ადრიატიკის ლიგაში მორიგი, რიგით მე-7 გამარჯვება მოიპოვა. მეგა ბიმაქსმა სერბულსავე ფმპ-ს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში — 74:72 იმარჯვა.

18 წლის ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და 22 წუთში 8 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ 3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

მეგა ბემაქსმა სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი, ხორვატიაში, ზადარის წინააღმდეგ გამართავს.

# რუსთავმა მეორე ადგილი გაიმყარა

**ბათუმი-რუსთავი 72:78**

(12:14, 19:26, 27:17, 14:21)

სუპერლიგის მე-18 ტური ბათუმში დასრულდა, სადაც სათამაშოდ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი რუსთავი ჩავიდა. დინამოს ქუთაისთან მარცხის შემდეგ რუსთაველები მეორე ადგილს ერთპიროვნულად დაეპატრონნენ და ამ პოზიციის შესანარჩუნებლად მხოლოდ მოგება ესაჭიროებოდათ. ქვემოქართლელებმა მიზანს მიაღწიეს, ბათუმი 78:72 დაამარცხეს და მეორე ადგილზე გამაგრდნენ.

მატჩის ბედი ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო. პირველ ტაიმში მოლიდერე რუსთაველებს ბათუმელებმა მესამე პერიოდში 10-ქულიანი ჩამორჩენა გაუბათილეს და ბოლო მეოთხედის დაწყების წინ ქულითაც დაწინაურდნენ. გუნდები ბოლო წუთებამდე თანაბრად მივიდნენ და შეხვედრის ბედიც დასკვნით ეპიზოდში გადაწყდა. ადამ ბლეიზეკისა და ტაირელ ნელსონის შედეგიან თამაშს მასპინძლებმა ვერ უპასუხეს და რუსთავმა 78:72 გაიმარჯვა.

20 ქულითა და 13 მოხსნით რუსთაველთაგან საუკეთესო იყო ტაირელ ნელსონი. 22 ქულა და 6 პასი მიითვალა ადამ ბლეიზეკმა, ქვემოქართლელთა კიდევ ერთმა ლეგიონერმა — ბრაიან ბერნარდიმ შეხვედრა 17 ქულით დაასრულა. ბათუმში 17 ქულა, 7 პასი და 6 მოხსნა სპენსერ კოლინსის ანგარიშზეა. 14-14 ქულა ერიკ ჩილდრესმა და სტეფან ანდრეიევიჩმა დააგროვეს.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 18 | 15 | 31544:1349 | 33 |
| 2.რუსთავი | 18 | 13 | 51487:1375 | 31 |
| 3.კაკტუსი | 18 | 10 | 81457:1488 | 28 |
| 4.დინამო | 17 | 11 | 61407:1278 | 28 |
| 5.ოლიმპი | 18 | 10 | 81394:1343 | 28 |
| 6.ბათუმი | 18 | 9 | 91377:1299 | 27 |
| 7.მგზავრები | 17 | 6 | 111298:1441 | 23 |
| 8.დელტა | 18 | 5 | 131425:1566 | 23 |
| 9.სოხუმი | 18 | 1 | 171353:1603 | 19 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 13 თებერვალი



**ვერძი** — რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **კურო** — დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **ტყუპები** — ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. თქვენს საქმეში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. **კირჩხიბი** — ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **ლომი** — საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ქალწული** — ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **სასწორი** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ღრიანკალი** — ნუ დაწვრილმანდებით. მოსალოდნელია ხელსაყრელი შემოთავაზება. **მშვილდოსანი** — თქვენთვის კეთილისმყოფელი პერიოდია. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **თხის რქა** — კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. **მერწყული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა დაუშვებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. საკვებ პროდუქტებზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 3. საგნის ზუსტი განსაზღვრა, მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 8. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 9. პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 10. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი; 12. ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 13. გამკილავი შინაარსის, სახელდახელოდ თქმული ლექსი; 15. დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი, სქელი, შავი ნისლი.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 7. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 11. იაპონური აბანო; 13. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული, ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური; 16. მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოში; 18. ძვლის ანთება.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პალპაცია; 6. პიანოლა; 8. ბალზამი; 10. კალევალა; 11. ალბომი; 13. კრატერი; 16. ვიქტორია; 18. არენა; 19. ანონა; 21. არაბია; 22. ატრიბუტი; 23. ბაობაბი.

**შვეულად:** 1. მაქსველი; 2. სცილა; 3. პანორამა; 4. ჟალუზი; 7. ემალი; 9. ომარი; 12. არაქნიდები; 14. არსება; 15. კანფეტი; 17. ურატები; 20. ერატო.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიამეი; 2. არმია; 3. მარაკანა; 4. ონაგრი; 5. კათხა; 6. პაი; 7. ადა; 8. ქართუ; 9. ქვირითი; 10. ბაქანი; 11. „სატირიკონი"; 12. კატაკანა; 13. კორსიკა; 14. ტანგო; 15. იო; 16. ორდენი; 17. მირონ; 18. თვე; 19. კანოე; 20. კაზენზი; 21. კესო; 22. ალპაკა; 23. მერაბ; 24. ზანგი; 25. სან; 26. საზანო; 27. მერინოსი; 28. რეგრესი; 29. არსენა; 30. ირმის.

**სურათებზე:** ედიტ გონსალესი; ჟულიო სეზარი.

# თამარ ივერი ბლექ სი არენას მუსიკალურ პარკში გამოფენილ ქანდაკებებს აკრიტიკებს



ოპერის მომღერალი თამარ ივერი ბლექ სი არენას მუსიკალურ პარკში განთავსებულ ქანდაკებებს აკრიტიკებს. ჯანსულ კახიძის, ლუჩანო პავაროტის, ედიტ პიაფის, ზურაბ ანჯაფარიძის ქანდაკებებს ის შარჟს უწოდებს:

— ბლექ სი არენას მუსიკალური პარკი... კახიძე, პიაფი, პავაროტი, ზურაბ ანჯაფარიძე.... და კიდევ მრავალთა ქანდაკ.... ბოდიში შარჟებით და კარიკატურებით. ვინ არის მათი შემქმნელი დიდოსტატი? ვის ანდეს ეს სერიოზული სამუშაო? ეს არის ამ ლეგენდა ხალხის შეურაცხყოფა და დაცინვა და პლუს წყალში გადაყრილი ასი ათასები. ვაი სირცხვილო!

# ნინო ხარატიშვილი ბრეხტის პრემიას მიიღებს



ქართველი მწერალი ნინო ხარატიშვილი გერმანელი დრამატურგის ბერტოლტ ბრეხტის სახელობის პრემიას მიიღებს. დრამატურგის სახელის უკვდავსაყოფად, მშობლიურ ქალაქ აუგსბურგში მისი სახელობის პრემიაა დაწესებული.

პრემიის მფლობელი ხდება ის ავტორი, ვისაც ჟიური საუკეთესოდ მიიჩნევს. წელს ეს ჯილდო 19 აპრილს ქართველ მწერალს ნინო ხარატიშვილს გადაეცემა. ჯილდო ნინომ მისი გახმაურებული რომანისთვის „დას ახტე ლებენ“ (მერვე სიცოცხლე) დაიმსახურა.

ბერტოლტ ბრეხტის სახელობის პრემია ფულად ჯილდოს – 15000 ევროს ითვალისწინებს.

პრემიის ჟიურის განმარტებით, ნინო ხარატიშვილის ნაწარმოებებს ბერტოლტ ბრეხტის ნაწარმოებებთან რაღაც უხილავი კავშირი აქვთ.

ნინო ხარატიშვილი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად წლებია ჰამბურგში ცხოვრობს. მისი რომანი „მერვე სიცოცხლე“ დიდი პოპულარობით სარგებლობს და 2014 წლიდან სენსაციურ წარმატებებს აღწევს.

რომანმა წიგნის ფურცლებიდან თეატრის სცენაზეც გადაინაცვლა და ჰამბურგის თეატრში დაიდგა.

# დოლოჭოპის დიდ ბაზილიკაზე ახალი ინფორმაცია ვრცელდება



არქეოლოგი ნოდარ ბახტაძე დოლოჭოპის დიდ ბაზილიკასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანეს ახალ ინფორმაციას ავრცელებს:

— ასე გამართლებულიყოს ამ წლის განმავლობაში თქვენი მოლოდინებიც! წინასაახალწლოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე წაკითხული მოხსენების დროს, წუხილი გამოვთქვი, რომ ჯერჯერობით მხოლოდ დოლოჭოპის თავდაპირველი ბაზილიკის დანგრევისა და დიდი ბაზილიკის აგების მოსამზადებელი ეტაპის თარიღის ჩვენეული ვარაუდების გამამყარებელი, მაღალტექნოლოგიური ანალიზის პასუხი გაგვაჩნდა.

და აი, გლაზგოს უნივერსიტეტის ტექნიკური კვლევების ლაბორატორიიდან დოლოჭოპის ყველასთვის უკვე კარგად ცნობილი დიდი ბაზილიკის მშენებლობის დროინდელი ნახშირის ნიმუშების რადიოკარბონული ანალიზის პასუხიც მივიღეთ – ძალიან დიდი ალბათობით, ეს არის IV-V საუკუნეთა მიჯნა, არა უგვიანეს 401 წელი!

# სამგლოვიარო განცხადებები

მაყვალა და ანზორ ბრეგაძეების ოჯახი თანაუგრძნობს დოდო ავალიანსა და ომარ ცაგარეიშვილს საყვარელი ძმის

**მამუკა ავალიანის**

გარდაცვალების გამო.

მაყვალა და ანზორ ბრეგაძეების ოჯახი მწუხარებას გამოთქვამს საყვარელი ადამიანის

**მამუკა ავალიანის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რევაზ ნასიძე: „მორალურად გადაშენების ზღვარზე ვართ“

მსახიობი რევაზ ნასიძე სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ გამოჩენის შემდეგ გახდა პოპულარული. მსახიობი ეკლესიას აკრიტიკებს და მიაჩნია, რომ ეკლესიურად მცხოვრებ ქართველ ადამიანებს სახელმწიფოებრივად აზროვნება დაავიწყდათ:

— აი, ეს ის ხალხია, რომლებიც, თავის საეკლესიო წინაპრებთან ერთად, საუკუნეების მანძილზე ართმევდნენ ჩვენს საქართველოს მომავალს! ამათ და ამათნაირებმა წაართვეს საქართველოს სული! 24-25 საუკუნის წინ, მაშინ, როდესაც მსოფლიოს უმრავლესობა ხეებზე ან გამოქვაბულებში ცხოვრობდა, ჩვენს მიწაზე არსებობდა ორატორული სკოლები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო ძალზე განვითარებული სახელმწიფო იყო იმ დროისათვის.



ჩვენ გვაქვს უძველესი დამწერლობა და ღვინის წარმოებაშიც პირველები ვართ, მართლმადიდებლობის წარმოშობამდე, დაახლოებით 45 საუკუნით ადრე ვაწარმოებდით ღვინოს და ახლა ამ თავხედებს და ბრბოს გინდათ, რომ გვითხრათ, რომ რელიგიაა ჩვენი ისტორია? ვაი თქვენ ამ ტყუილისათვის! საუკუნეების მანძილზე არსებული მტრების მიმართ, დიპლომატიურად მოგვარების მცდელობაც კი არ ჰქონია ჩვენს ქვეყანას და რელიგიური მიზეზების და საეკლესიო პირების ინტერესების გამო, იხოცებოდნენ ქართველები და დღეს ჩვენ 3-4 მილიონიანი გაჭირვებული და განუვითარებელი ერი ვართ.

მე კი იცით რა მაწუხებს, ახლა, როდესაც კულტურულად და მორალურად გადაშენების ზღვარზე ვართ და საქართველოს რეალურად იპყრობენ სხვა რჯულის ხალხი, აი ამ დროს, სად არიან ჩვენი საეკლესიო პირები? სადაა ეს თქვენი პატრიარქი? ფულით გააჩუმეს თქვენი ეკლესია! საპატრიარქოს გვერდით, აზიური კაზინო შანგრილა გაიხსნა, მეტეხის ეკლესიის წინ არაბები ტივით მგზავრობენ ქართველ მეძავეებთან ერთად და არაბულ მუსიკებს უკრავენ, კაცმა რომ გკითხოთ, მანდ წმიდა აბო თბილელი მოკლესო... ვაი ეკლესიას და ვაი ეკლესიურად მცხოვრებ ქართველ ადამიანებს, რომ დაგვიწყებიათ სახელმწიფოებრივად აზროვნება და სხვა ადამიანები.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი იაპონიაში მიიწვიეს



მოზარდ მაყურებელთა თეატრი იაპონიაში მიიწვიეს. თეატრის სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ 16-26 თებერვალს იაპონიაში საერთაშორისო საბავშვო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ასოციაციის „ასიტაჟი აზიის“ ეგიდით გაიმართება.

საფესტივალო ჩვენებამდე კი მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ყველაზე პატარა მაყურებელს „რწყილი და ჭიანჭველას“ პრემიერა შესთავაზა. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიმუშის ინსცენირების ავტორი დიმიტრი ხვთისიაშვილია. პატარა მაყურებელს რწყილისა და ჭიანჭველას თავგანწირული მეგობრობის ამბავს თოჯინებთან ერთად მსახიობები უყვებიან. მსახიობებისა და თოჯინების სინთეზს კიდევ უფრო ამდიდრებს სპექტაკლში გამოყენებული ქართული ფოლკლორი, ცეკვები და ქალაქური სიმღერები.

სპექტაკლს ორი რეჟისორი ჰყავს, დიმიტრი ხვთისიაშვილი და გია მარღანია, რომელიც აღნიშნული დადგმის ქორეოგრაფიცაა. სპეციალურად წარმოდგენისთვის შეიქმნა თოჯინები, რომლებიც მხატვარ ვახტანგ ქორიძეს ეკუთვნის. მუსიკალურ გაფორმებაზე კი ზურაბ გაგლოშვილმა იზრუნა.

სპექტაკლში მონაწილეობენ გია მარღანია, ნიკოლოზ ნანიტაშვილი, მარიამ ხუხუნაიშვილი და ნიკოლოზ ფაიქრიძე.

# გერმანიაში კონსტანტინე გამსახურდიას უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები აღმოაჩინეს

გერმანიაში მწერალ კონსტანტინე გამსახურდიაზე უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა.

ინფორმაცია აღმოჩენის შესახებ მისმა შვილიშვილმა ცოტნე გამსახურდიამ გაავრცელა:

— გერმანულ არქივებში ქართველმა მკვლევარმა გიორგი ასტამაძემ აღმოაჩინა ფრიად საინტერესო დოკუმენტები კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების „გერმანული პერიოდის“ შესახებ. საარქივო მასალებში აღნიშნულია, როგორ ეხმარებოდა გამსახურდია მსოფლიო ომის ქართველ ტყვეებს, წერდა საქართველოსა და გერმანიის ისტორიისა და ურთიერთობათა შესახებ, ასევე მოყვანილია მისი ხასიათის თავისებურებები.

**გიორგი ასტამაძე, მკვლევარი:**

— მწერალი კონსტანტინე გამსახურდია 1912-1915 წლებში სწავლობდა კიონიგსბერგის, ლაიფციგის და მიუნხენის უნივერსიტეტებში. მიუნხენში ყოფნისას ის დაპატიმრებულიც იყო როგორც რუსეთის იმპერიის მოქალაქე, მაგრამ 1915 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს. ამავე წლის ბოლოს ის ბერლინში გადავიდა და ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში, დღევანდელი ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, პარალელურად მუშაობდა აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროში, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. გამსახურდია აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის დროს მოქმედ ქართულ კომიტეტთან და მონაწილეობას იღებდა გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების გათავისუფლებასა და კომიტეტის მხარეზე გადაბირებაში.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში აღმოჩნდა რამდენიმე დოკუმენტი, თუ როგორ გადაწყდა კონსტანტინე გამსახურდიას ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღება. 1918 წლის 14 ოქტომბერს გამსახურდია წერილს უგზავნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს, ქართველების კარგ ნაცნობ ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს. წერილში აღნიშნულია, რომ ის უკვე 6 წლის მანძილზე სწავლობს გერმანულ უნივერსიტეტებში, 1915 წლიდან კი ირიცხება ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც უნდა, რომ 1919 წლის ზამთრის სემესტრში დოქტორის ხარისხი დაიცვას, ფაკულტეტის დეკანმა ერდმანმა კი მას ამცნო, რომ ახალი წესების მიხედვით, მხოლოდ იმ



უცხოელებს შეუძლიათ ამის გაკეთება, ვისთვისაც გერმანული დედაენაა. გამსახურდია სწერს ვეზენდონკს, მიუხედავად იმისა, რომ ის ქართველია, საკმაოდ კარგად ფლობს გერმანულს და მაგალითად მოჰყავს მის მიერ გერმანიაში გამოქვეყნებული სტატიები და ერთი ბროშურა პირველი მსოფლიო ომის შესახებ. გამსახურდია თხოვნით მიმართავს ვეზენდონკს, დაეხმაროს მას კულტურის სამინისტროსგან ნებართვის მოპოვებაში, რომელიც ფაკულტეტის დეკანს უნდა გადაეგზავნოს ბერლინის უნივერსიტეტში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

**სამშაბათი 13 თებერვალი**

06.30-08.10 სამთოსათხილამურო. 08.00-09.50 სნოუბორდი. 09.50 ანონსები "პრომოები 10.00-11.25 სამთოსათხილამურო. ფინალი 11.25-12.00 ოლიმპიურის გადაცემა. 12.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 12.30-13.35 სათხილამურო რბოლა. 13.35 დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" 14.00-16.30 შორთთრეკი კაცები 15.00-17.00 თხილამურებით რბოლა. ფინალი 15.00-16.45 ციგურებით სწრაფრბენა. 17.00-17.15 ოლიმპიური გადაცემა. 17.15 დოკ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.00 ტ/სერ. "ელემენტარული" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.30 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 23.20-23.40 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა 23.40-01.40 ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი. 01.40 მხ/ფ "პელჰამ 123" (ჰ.ტრავოლტა) 03.10 ოლიმპიადა

06.30, 19.03 სერ. "დასაწყისი" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.40 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "ელიფი" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "ტყუილი" 17.45 სერ. "ცოდვილი" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ფავორიტი" 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ - პირისპირ 23.30 სერ. "ღირსების საქმე" 8 სერ. 01.00 მხ/ფ "შიმშილის თამაშები" 03.20 მხ/ფ "წითელი სიცხე" 05.10 მხ/ფ "ზღვისპირა ქალაქი"

06.00, 18.50 სერ. "მეორე შანსი" 07.00, 20.40 სერ. "დიდი ოჯახი" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ბედის ანაბარა" 15.40 სერ. "მზიანი დღეები" 22.00 არჩევანი 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00, ქალების ნარატივი 12.00 სერ. "რამონზე შეყვარებული" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება -NEWS 14.00, 16.00 ვახო სანაიას დღის ამბები 15.00, 22.45, საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, 4.00 მხ/ფ 20.00 რეაქცია 23.30 სერ. "დამალული სიმართლე"

GDS 08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები 2" 09.00 სერ. "ერთხელ ზღაპარში-3" 12.00 სერ. "საიდუმლო და ტყუილი" 3 სერ. 13.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება 10" 17.00 სერ. "ფარი" 18.00 სერ. "ფარი-2" 1 სერ. 19.00 სერ. "ჯაშუში 4" 21.00 სერ. "საიდუმლო და ტყუილი" 4 სერ. 22.30 სერ. "ვიკინგები-3" 4-5 00.30 მხ/ფ "სპეცრაზმი" 02.30 მხ/ფ "სპეცრაზმი ცეცხლოვანი ბრძოლა" 03.55 მხ/ფ "სახელმწიფოს მტერი" 06.00 მხ/ფ "დეჟა

იბერია 08.00 ანიმაცია 08.30 სერ. "ბანდოლერა" 10.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40 ახალი ამბები 11.20, 19.55 მე რომ ვიყო 11.30, 00.00 ბიზნესკოდი 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 03.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 01.00 ფაბრიკა 18.00 ანონსი 18.05 სერ. "გაქცეულები" 20.00 თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " 21.00 სერ. " სოლი 23.00Hellow თბილისი 2.00 თავისუფალი სივრცე

08.00, 00.00, 01.55 საინფორმაციო დაიჯესტი 08.10 ანიმაცია 09.10, 13.00 დ/ფ 10.00, 19.10 სერ. "ჩიტი გალიაში" 10.50 "ვებ-სიახლეები" 11.10, 20.00, 20.35 თოქ-შოუ "ჰეშთეგი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მთავარი" 12.20 თოქ-შოუ "არტ-ექსპერტი" 14.30 თოქ-შოუ "სპორტკლუბი" 15.30"ევრომაქსი" 16.00 მხ/ფ "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" 18.30 "მე ვარ ფერმერი" 20.30 ანონსი 20.45 "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) 21.40 "რჩეული ფრაგმენტები" 22.00 "ანარეკლები" 00.05 "ანარეკლები" 00.30 მხ/ფ "იყო ფლინი"

06.10 დ/ფ"ველური ბუნება" 06.30 სპექტაკლი "ბნელ ოთახში" 07.55 ფოტოგალერეა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 დ/ფ "წმ. ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და ათანასე დიდი " 10.40 მხ/ფ "ჩემი ბოშები" 12.05 მხ/ფ "ფილატელისტის სიკვდილი" 13.20 კონცერტი - ქართული სული 15.05 მხ/ფ "ჩიორა" 16.30 კონცერტი - კამერული მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.10 დ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 "განთიადი" (გამ) 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.35 მოკ/ფ "წყრომა" 22.00 სიახლენი 22.25 დ/ფ "XX საუკუნის წმინდანები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "სამი საქართველო " 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 მხ/ფ "ფატიმა" 02.10 კონცერტი -ანა-სოფია მუტერი 03.30 მხ/ფ "მობი დიკი" III-IV სერ. 05.10 დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა"

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4501 |
| ევრო | 3.0031 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4059 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2257 |

## ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისთვის








## 8 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

# ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

# კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი



მსუქანი მოსწავლე გამხდარ თანაკლასელს ეტრაბახება:

– გუშინ მამასთან ერთად რესტორანში ვიყავი. იმდენი რაღაცები ვჭამე, ომარები, ლანგუსტები, ბარბექიუ, კინაღამ გავსკდი!

– რა, მამაშენს ფული აღარ ეყო?

●●●

ბორტგამცილებელი აცხადებს:

– თვითმფრინავში ჰომეოპათი არის ვინმე?

– რა მოხდა? – კითხულობს ერთ-ერთი მგზავრი.

– ასტროლოგია ცუდად!

●●●

მამაკაცის და ქალის ტიპიური საუბარი. მამაკაცი:

– ამას რატომ აკეთებ?

– ვიცი, რატომაც!

– და მაინც, ამას რატომ აკეთებ?

– ვიცი, რატომაც!

– და მაინც, რატომ გააკეთე?

– არ ვიციიი...

●●●

– წითელქუდა! – წამოიძახა მგელმა გოგონას დანახვაზე.

– ბეწვის ქურქი! – წამოიძახა გოგონამ, როდესაც მგელი შენიშნა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ასეთი მოწყენილი სახე რატომ გაქვს?

– ცოლი სამი კვირით დედამისთან მიემგზავრება.

– და მერე, შენი არ მესმის...

– მხიარული სახით რომ შემნიშნოს, გადაიფიქრებს და აღარ წავა.

●●●

გვიანი ღამეა, ცოლს ძილში მეუღლის ხმა ჩაესმის:

– საყვარელო, სექსი არ გინდა?

– ძალიან დავიღალე, ძვირფასო, თავიც მტკივა...

– დაიძინე, დაიძინე, შენ არ გეუბნები, ტელეფონზე ვლაპარაკობ...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ხომ მენდობი?

– რა თქმა უნდა.

– და იცი, რომ არასოდეს ვიტყუები?

– რა თქმა უნდა.

– წარმოგიდგენია, ჩემ მანქანას ხე დაეჯახა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი

წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი







## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

# ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## ინიესტამ ხეტაფესთან ფრე გადაღლილობას დააბრალა



ბარსელონამ ბევრისთვის მოულოდნელად საკუთარ მოედანზე ხეტაფეს დამარცხება ვერ შეძლო და ორი ქულა დაკარგა. შეხვედრა 0:0 დასრულდა.

ატლეტიკო ბარსელონას ოდნავ წამოეწია და ამჟამად ამ ორ გუნდს შორის 7 ქულაა სხვაობა. ანდრეს ინიესტამ ცუდი თამაში და შედეგი გადაღლილობას დააბრალა:

– თებერვალში უკვე ბევრი შეხვედრა ვითამაშეთ და გუნდი ოდნავ გადაიღალა. ხეტაფემ დაცვაში უშეცდომოდ იმოქმედა და ამის გამო გოლის გატანა გაგვიჭირდა. ძალები მალე უნდა აღვიდგინოთ და მომავალ შეხვედრებში მხოლოდ მოგებებზე ვიფიქროთ.

## კრიშტიანო რონალდუ: პსჟ-სთან იდეალურად უნდა ვითამაშოთ



მადრიდის რეალის ლიდერმა კრიშტიანო რონალდუმ პსჟ-სთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალმა იდეალურად უნდა ითამაშოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფო გუნდს პრობლემები ექნება.

– პსჟ ძალიან ძლიერი მეტოქეა და მათ უამრავი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ, ამიტომ რეალმა ორივე შეხვედრა იდეალურად უნდა ჩაატაროს. წარმატებას მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ, – განაცხადა კრიშტიანო რონალდუმ.

პირველი მატჩი 14 თებერვალს მადრიდში გაიმართება და ამ შეხვედრას მთელი საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელის.

## ლუის ენრიკეს პრემიერ ლიგაში სურს მუშაობა



ბარსელონას და რომას ყოფილ მწვრთნელს ლუის ენრიკეს პრემიერ ლიგაში სურს მუშაობა და მომავალი სეზონიდან ის სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდება.

ლუის ენრიკემ შესაძლოა ჩელსი ჩაიბაროს, მას შემდეგ რაც ანტონიო კონტე თავის თანამდებობას დატოვებს.

ბოლო პერიოდში ძალიან ხშირია საუბრები იმის თაობაზე, რომ კონტეს ჩელსის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება აქვს და ზაფხულში ის ჩელსიდან წავა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლევან მჭედლიძემ ტრავმა მოიშუშა



იტალიური ემპოლის და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ლევან მჭედლიძემ ტრავმა მოიშუშა და მალე მას მოედანზე ვიხილავთ.

ლევანს მთელი კარიერის მანძილზე აწუხებს ტრავმები და ამ მიზეზით მას ძალიან დიდი დრო გაუცდა. ემპოლი ამჟამად სერია ბ-ში ასპარეზობს და პირველ ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ემპოლის სერია ა-ში დაბრუნების კარგი შანსი აქვს.

მჭედლიძე ბოლოს მოედანზე გასული წლის 23 აპრილს გავიდა და მას შემდეგ ის მკურნალობდა. მიუხედავად ტრავმებისა, მჭედლიძე წლების მანძილზე ემპოლის ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი იყო.

## ხოსეპ გვარდიოლამ კევინ დე ბრუინე შეაქო



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ თავისი გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელზე კევინ დე ბრუინეზე ისაუბრა და თქვა, რომ კევინი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

– მე მისი თამაშით აღფრთოვანებული ვარ და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დე ბრუინე ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მან თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა მომავალში ოქროს ბურთიც მოიგოს, – განაცხადა ხოსეპ გვარდიოლამ.

წლევანდელ სეზონში კევინ დე ბრუინეს პრემიერ ლიგაში ყველაზე მეტი საგოლე პასი აქვს გაკეთებული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 3. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 12. თმის გამკრეჭი, წვერის მპარსავი ძველად; 14. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფეს ძველი ქართული სახელწოდება; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. გადასახადებისაგან განთავისუფლებული ყმა ძველად; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. წვრილი წვიმა; 22. ლეო დელიბის ოპერა.

**თარაზულად:** 6. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. მთათა სახელწოდება შუა-აზიაში; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. მონასტერი ქსნის ხეობაში; 20. ჯიხვების ჯოგი; 21. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.




**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**